პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 192 (9352)

ხუთშაბათი 14 აგვისტო 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

სწორად შევახამოთ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა — «პრავდის» 13/VIII მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
საქართველო — კომუნიზმის დიად მშენებლობებს (1-ლი გვერდი)
ბოლშევიკურად გამოვასწოროთ ნაკლოვანებები (მე-2 გვერდი).
ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს (მე-2 გვერდი).
ჩამორჩენილი საწარმოები და უდარდელი მშენებლები (მე-2 გვერდი).
სალეწი მანქანა საათობრივი გრაფიკით მოწმდება (მე-3 გვერდი).
ა. ადამია — წერილები სომხეთიდან (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

სწორად შევახამოთ პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობა

რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს, დიდ ყურადღებას აქცევენ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას. სახავენ რა მორიგ ამოცანებს მომავლისათვის, კონფერენციების დელეგატები ხელმძღვანელობენ ამხანაგ სტალინის მითითებით, რომ აუცილებელია პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამება.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელია. ისინი ერთად არსებობენ და ერთად მოქმედებენ. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა:

„...ის, ვინც ფიქრობს ცვნის პრაქტიკულ მუშაობაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის დამცირების ფასად ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დამცირების ფასად,—იგი აუცილებლად ჩიხში ექცევა“.

პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამება შესაძლებლობას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს აამაღლონ თავიანთი მაორგანიზებელი და წარმმართველი როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. კონფერენციებზე აღნიშნავენ, რომ პარტიული კომიტეტები ახლა უფრო მეტად და კონკრეტულად მუშაობენ შინაპარტიული ცხოვრების, იდეოლოგიური მუშაობის, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებზე.

პარტიულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაცხოველდა შინაპარტიული ცხოვრება, გაძლიერდა კომუნისტების აქტივობა, მათი დაინტერესება პარტიული მუშაობის შედეგმი აღმავლობისათვის ბრძოლით. ახლა უფრო რეგულარულად ამართება კრებები პირველად ორგანიზაციებში, პარტიული აქტივის კრებები, რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების პლენუმები, რომლებზეც ფართოდ განიხილავენ პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეს ხელს უწყობს ეკონომიკისა და კულტურის ყველა უბნისადმი, ყველა დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას.

რაიონული და საქალაქო პარტიული კონფერენციები აგრეთვე გვიჩვენებენ, რომ პარტიის ყველა რაიკომი და საქალაქო კომიტეტი უნარიანად როდი ახამებს პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას. ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული კომიტეტი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხანდახან ადგება სამეურნეო საკითხებით ცალმხრივი გატაცების გზას. ნაცვლად იმისა, რომ კვალიფიციური კადრებით განამტკიცონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები და დაეხმარონ მათ დახახული ამოცანების სწორად გადაწყვეტაში, ცალკეული რაიკომები და საქალაქო კომიტეტები ცდილობენ ამ ორგანოების მაგივრობა გაუწიონ, მათ მაგიერ განიხილავენ ყოველგვარ მიმდინარე სამეურნეო საქმეებს.

კალინინგრადის ოლქის ნესტეროვის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე დელეგატებმა სამართლიანად გააკრიტიკეს პარტიის რაიკომი იმისათვის, რომ იგი ცდილობს რაიონული საბჭოს აღმასკომისა და მის განყოფილებათა მაგივრობა გასწიოს. მაგალითად, ნესტეროვის რაიკომი უშუალოდ უნაწილებს საკოლმეურნეო სამეცადინოებს ნახშირს, მეცხოველეობის ფერმებს კომბინირებულ საკვებს და სხვ. ასეთი არასწორი პრაქტიკის შედეგად საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების აპარატი სრული ზომით არ არის გამოყენებული, ამ აპარატის მუშაკებს უმცირდებათ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მაგივრობის გაწევის ასეთი პრაქტიკა გამოაშკარავდა კრასნოიარსკის მხარის კრასნოტურანსკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. აქაც ხშირად რაიკომის მდივნები უგულებელყოფენ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს და წყვეტენ წვრილ სამეურნეო საკითხებს, ისეთი საქმეების განხილვაზე აცდენენ პარტიულ აპარატს, რომლებისთვისაც თავის გართმევას სავსებით შეძლებდნენ სამეურნეო ორგანოები.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდეს.

პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად უნდა ამაღლებდნენ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონეს. ეს არის სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი წარმატებითი ხელმძღვანელობის საწინდარი. საჭიროა, რომ რაიკომები და საქალაქო კომიტეტები მთელ თავიანთ საქმიანობაში უფრო მეტად ეყრდნობოდნენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც პარტიის საფუძველს წარმოადგენენ, ეხმარებოდნენ მათ გაუმჯობესონ მახებში თავიანთი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, აძლიერებდნენ მათს ბრძოლისუნარიანობას.

მაგრამ, როგორც ბელორუსიაში, კალუგისა და ველიკეი ლუკის ოლქებში გამართული ზოგიერთი რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატები აღნიშნავდნენ, პარტიის ცალკეული რაიკომები სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისას ყოველთვის როდი ეყრდნობიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. რაიკომების ხელმძღვანელი მუშაკები ზოგიერთად დადიან ხაწარმოების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების პარტიულ ორგანიზაციებში, ნაკლებად ეხმარებიან მათ. ხშირად პარტიის რაიკომები გვერდს უვლიან პირველადი ორგანიზაციების ცხოვრების ხერიოზულ ნაკლოვანებებს, დროზე არ იღებენ ზომებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ყურს არ უგდებენ ქვემოდან მომდინარე კრიტიკას.

— უმნიშვნელოვანესი სახოფლო-სამეურნეო კამპანიების მოწყობის დროს, — თქვა ველიკეი ლუკის ოლქის ფარკოვსკის რაიონის პარტიული კონფერენციაზე დელეგატმა ამხ. პავლოვმა, — ბევრ კოლმეურნეობაში ფეხმოუცვლელად ხედან რაიკომისა და რაიაღმასკომის წარმომადგენლები. მაგრამ რას აკეთებენ ისინი? მეტწილად ისინი ასრულებენ „მბიძგველის“ როლს და ძალიან ნაკლებად ეინტერესებათ, თუ როგორ რაზმავენ პარტიული ორგანიზაციები მახებს პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესასრულებლად.

რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე მოჰყავთ საკმაოდ ბევრი მაგალითი მაღალიდეური, უნარიანი მახობრივ-პოლიტიკური მუშაობისა, რომელსაც ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ეწევიან მუშებში, კოლმეურნეებში, ინტელიგენციაში. მაგრამ, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან პარტიის ისეთი რაიკომებიც, რომლებიც ჯეროვნად ვერ აფახებენ მახებში პოლიტიკურ მუშაობას, რაც აუცილებლად ახდენს გავლენას სამეურნეო ამოცანების შესრულებაზე.

პარტიულ-პოლიტიკური საკითხებისაკენ შემობრუნება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ პარტიული ორგანიზაციებს შეუძლიათ შეანელონ ყურადღება სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობისადმი. მოთხოვნას სამეურნეო წვრილმანებისაგან პარტიული ორგანიზაციების განთავისუფლებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შესახებ ის აზრი კი არა აქვს, რომ სამეურნეო მუშაობასა და სამეურნეო ხელმძღვანელობას ჩამოშორდნენ, არამედ მხოლოდ ის, რომ აღარ დაუშვან სამეურნეო ორგანოების მაგივრობის გაწევისა და მათი გაუპროფესიონალების პრაქტიკა. საჭიროა, გვასწავლის ამხანაგი სტალინი, რათა სამეურნეო წარმატებანი შეეხამებოდნენ და მიდიოდნენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებების გვერდით.

მეურნეობისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის მეთოდი ის არის, რომ დავეხმაროთ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები, განამტკიცოთ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ისეთი კადრებით, რომლებსაც უნარი შესწევთ განახორციელონ ეს დირექტივები, აღვზარდოთ კადრები, ვუხელმძღვანელოთ მეურნეობას არა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გვერდის ავლით, არამედ მათი მეშვეობით, განვახორციელოთ შესრულების ყოველდღიური შემოწმება. ეს საშუალებას მისცემს პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთი მთავარი ყურადღება პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მიაპყრონ.

პარტიულ კონფერენციებზე ფართოდ ჩაღდება პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. საჭიროა რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა საქმიანად გაითვალისწინონ ნაკლოვანებათა კრიტიკა და გამოიტანონ პრაქტიკული დასკვნები ამ კრიტიკიდან.

პარტიული კონფერენციები აჯამებენ იმ დიდი მუშაობის შედეგებს, რომელიც ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად. ამასთანავე ისინი ხახავენ პარტიული ორგანოების ხელმძღვანელი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის უნარიანი შეხამება, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პასუხსაგები ამოცანების წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა.

„პრავდის“ 13/VIII მოწინავე

პურეულის მოსავლის აღება და ღენწვა

საქართველოს კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობებით 10 აგვისტოსათვის აღებულია 282.309 ჰექტარზე თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი, რესპუბლიკური გეგმის 64,9 პროცენტი.

თბილისის ოლქში მოსავლის აღების გეგმა 66,5 პროცენტით არის შესრულებული, ქუთაისის — 69,7, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 99,5, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 54,2, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში— 31,5 პროცენტით. გარდაბნის რაიონში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 99,9 პროცენტით, თელავის—99,2, ყვარლის — 98,6, მარნეულის — 96,8, წითელწყაროს — 94,1, ბოლნისის — 92,7, ახმეტის — 91,8, სიღნაღის — 87,6, კაჭრეთის — 83,1, ქარელის რაიონში — 80,8 პროცენტით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მთელი აღებული მოსავლის 81,7 პროცენტი კომბაინებით არის მომკილი. კომბაინებით მოსავლის აღების გეგმები უკვე შესრულეს ბოლნისის, გარდაბნისა და წითელწყაროს რაიონების მტს-ებმა.

10 აგვისტოსათვის აღებული მოსავლიდან 69,3 პროცენტი გალეწილია, აქედან თბილისის ოლქში—73,1 პროცენტი, ქუთაისის — 24,4, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 43,5 პროცენტი.

საბჭოთა კავშირში

★

ავტომობილის ახალი ძრავი

იაროსლავლი, 12 აგვისტო. (საკდესი), იაროსლავლის ავტომობილის ქარხნის კონსტრუქტორებმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით შეიმუშავეს გაზის ახალი ორტაკტიანი ძრავი დიდტვირთიანი ავტომობილებისა და ავტობუსებისათვის. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში საწარმოს მთავარმა კონსტრუქტორმა ა. ა. მალიშევმა განაცხადა:

— ავტოქარხანაში შექმნილი ახალი ძრავი თავისი თვისებებით სჯობია ყველა წინათ შექმნილ მსგავს კონსტრუქციას. სიმძლავრით იგი სჭარბობს დიზელის მოტორსაც. ძრავი არ მოითხოვს თხევად სათბობს და აუმჯობესებს მანქანების საექსპლოატაციო თვისებებს. იგი მუშაობს ადგილობრივი საწვავი გაზებით. ამიტომ გაზის ძრავიანი ავტომობილებისა და ავტობუსების ექსპლოატაცია გაცილებით უფრო იაფი დაჯდება. ავტომანქანები ასეთი მოტორით შეიძლება გამოყენებულ იქნან ყველგან, სადაც გაზშემცველი საგაზურები შეიქმნება.

ავტოქარხანაში გამოსაცდეს ახალი კონსტრუქციის სათვალავით მეხუთე ძრავი. პირველი აგრეგატები უკვე დადგმულია დიდტვირთიან ავტომანქანებსა და ავტობუსებზე.

ელექტროსადგურთა სამინისტროს მოწინავე საწარმოები

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და ელექტროსადგურთა სამინისტრომ განიხილეს სამინისტროს საწარმოთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის იენისისა და მეორე კვარტალის შედეგები.

გამარჯვებულთა შორის, რომლებმაც მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები და პირველი პრემიები, არიან ლენენერგოს № 5 ჰიდროელექტროსადგური, მოსენერგოს № 9 თბოელექტროცენტრალი, იაროსლავლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური, ხარკოვენერგოს № 2 ჰიდროელექტროსადგური, ტრესტი „ჰიდრომონტაჟი“, ჩერნორამენკის ტორფტრესტი, დემიხოვსკის სატორფე მანქანათმშენებლობის ქარხანა.

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ საქენერგოს რაონის ჰიდროელექტროსადგურს, კემეროვენერგოს თბოელექტროცენტრალს, მოსენერგოს კაბელის ქსელს, ტორფტრესტის სიტნიკის ტორფსაწარმოს, ქარხანა „ელექტროშჩიტსა“ და სხვა საწარმოებს. (საკდესი).

დ. ი. მენდელეევის სამეცნიერო არქივი

დ. ი. მენდელეევის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტები დღემდე მთელ რიგ დაწესებულებებში ინახებოდა.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა მეცნიერის ყველა საარქივო მასალას თავი მოუყაროს ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დ. ი. მენდელეევის მუზეუმ-არქივში. ამა წლის 1 დეკემბრისათვის უნივერსიტეტთან შეიქმნება არქივთსაცავები, სამკითხველო დარბაზი და ფოტოლაბორატორია. (საკდესი).

სტალინაბადი. ახალგაზრდა ექიმთა — ტაჯიკეთის ავიცენას სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ჯგუფი.

ფოტო ბ. ზაიცევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ცემენჯი, მინა, შიფერი კომუნიზმის დიად მშენებლობებს

სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ასობით საწარმო წარმატებით ასრულებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს.

ვოლსკის ცემენტის ქარხნებმა „კომუნარმა“, „ბოლშევიკმა“ და „კომსომოლეცმა“ უკვე შეასრულეს „სტალინგრადჰიდროშენისათვის“ ცემენტის გაგზავნის ცხრა თვის გეგმა და კუიბიშევის მომავალი ჰიდროელექტროსადგურის საძირკვლისათვის ცემენტის გაგზავნის რვა თვის გეგმა.

შიფერის მრეწველობის ქარხნებმა შვიდ თვეში მეტი პროდუქცია გაუგზავნეს „სტალინგრადჰიდროშენს“, ვიდრე საჭირო იყო სამი კვარტალისათვის. გორკის, ლისიჩანსკის, კრასნოუსოლსკისა და სხვა მინის ქარხნების კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის აგვისტოში ჩაბარების გეგმები და ვალდებულება იკისრეს ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულონ ცხრა თვის გეგმა.

კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს წარმატებით ასრულებენ კუიბიშევის ტოლ-რუბეროიდის, მურომის და სლავიანსკის ტოლის ქარხნები.

ვადამდე სრულდება აგრეთვე ასფალტის, სათბობი ქვაბების, რადიატორების, სტანდარტული საცხოვრებელი სახლების მიწოდების გეგმები. (საკდესი).

კიევის მეფოლადეთა წარმატებანი

კიევი, 12 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ქარხანა „ბოლშევიკის“ ფოლადსასხმელი საამქროს კოლექტივმა დიდი საწარმოო წარმატება მოიპოვა: დღეღამეში გამოშვებულია ხუთი მძიმე წონის ნადნობი.

ახლა საამქროში თითქმის ყველა ნადნობს ვადაზე ერთი საათით ადრე უშვებენ.

★

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლთა შრომითი ვახზე

სტავროპოლი. (კუიბიშევის ოლქი), 12 აგვისტო. (საკდესი). დიდი აღმავლობით გაჩაღდა ყიგულში დიად მშენებლობაზე შეჯიბრება კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მთავრობის დადგენილების გამოქვეყნების მოახლოებული მეორე წლისთავის . ღირსეული შეხვედრისათვის.

ვოლგის მარჯვენა ნაპირზე სტახანოვურ ვახტზე დადგნენ მექანიკოსები, რომლებიც ქვაბულს ამზადებენ ჰიდროელექტროსადგურის შენობისათვის. მათ გადაჭარბებით შეასრულეს მიწის თხრის სამუშაოთა ივლისის გეგმა და აგვისტოში ცდილობენ მიაღწიონ მანქანათა წარმადობის შემდგომ გადიდებას. ქვაბულიდან გრუნტის ამოღების გადიდებული დავალება აგვისტოს პირველ დეკადაში შესრულებულია გადაჭარბებით.

მაღალნაყოფიერად შრომობს კომუნისტ მიხეილ ევეცის ბრიგადა. იგი მუშაობს ექსკავატორ „ურალეცით“ და მან 10 დღეში ამოიღო და გადატვირთა 22.717 კუბური მეტრი გრუნტი. ვლადლენ მიიჩევის ახალგაზრდათა ბრიგადამ 10 დღის განმავლობაში გადაამუშავა 20.428 კუბური მეტრი მიწა.

ჩაღდება მეორე რიგის სამუშაოები გიგანტურ ზღუდარზე, რომლითაც შემოზღუდულია ქვაბულის სამდინარო ნაწილი. ზღუდარში ყოველ დღე იყრება ათასობით კუბური მეტრი გრუნტი. ორთქლის ურნალებმა დაიწყეს შპუნტის ჩასობა ზღუდარის ჭრილში, რომელიც დატოვებულია ქვაბულში მიწისმწოვი მანქანების შესასვლელად. ეს შესასვლელი 120 მეტრიდან ვიწროვდება 20 მეტრამდე. ზღუდარის ქვემო ნაწილში წარმოებს შპუნტის კედლის ამოყვანა. მდინარის ფსკერზე ჩასობილ ლითონის ხიმინჯებზე ადუღებენ ახალ შპუნტებს და კედელი მაღლა იწევს 12 მეტრით.

სტახანოვურ ვახტზე დადგნენ მექანიზატორები, რომლებიც ეწევიან მიწისთხრის სამუშაოებს რაბებისა და წყალსაშვები კაშხალის მოედნებზე ვოლგის მარცხენა ნაპირთან, ბეტონის ქარხნებისა და მუშათა დაბების მშენებლები.

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა მე-5 საგზაო-სამშენებლო რაიონის კოლექტივმა, რომელმაც ვადამდე შეასრულა 8 თვის გეგმა. გზის მუშაკები ასფალტს აგებენ საავტომობილო გზატკეცილზე, რომელიც ერთმანეთს უერთებს მარცხენა ნაპირის მრავალ სამშენებლო უბანს, გაჰყავთ ახალი გზა ბეტონის დიდი ავტომატიზებული ქარხნისაკენ.

ციმლიანსკის ჰესის მესამე ჰიდროაგრეგატის საცდელი ამუშავება

ციმლიანსკი, 12 აგვისტო. (საკდესი). მემონტაჟეებმა ციმლიანსკის ჰესის მესამე ჰიდროაგრეგატზე ყველა ძირითადი სამუშაო დაამთავრეს. 7 აგვისტოს ეს ჰიდროაგრეგატი საცდელად აამუშავეს. საცდელმა ამუშავებამ ცხადყო სამონტაჟო სამუშაოთა მაღალი ხარისხი.

გუშინ მანქანა გააჩერეს საბოლოო ოპერაციისათვის—გენერატორის გრაგნილის გასაშრობად და სამრეწველო ექსპლოატაციისათვის მთელი ჰიდროაგრეგატის მოსამზადებლად.

საქართველო—კომუნიზმის დიად მშენებლობებს

ქართველები კუიბიშევის ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა შორის ამ ბოლო დროს გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც წინათ აქ არავის უნახავს. ეს ახალმოსული მშენებლები მათთვის მინდობილ საქმეს ღრმა ცოდნით, დიდი ოსტატობით აკეთებენ და ამით ყურადღებას იპყრობენ. ეს ადამიანები არიან ვოლგა-დონის სანაოსნო არხის სახელოვანი მშენებლები, რომლებმაც დიად მშენებლობათა პირველ ობიექტზე დავალება ღირსეულად შეასრულეს და ახლა მორიგ ობიექტზე მოვიდნენ, რომ მსოფლიოს კვლავ უჩვენონ თავისუფალი შემოქმედებითი შრომის სასწაულმოქმედი ძალა. მათ შორის არიან მზიური საქართველოს წარმომადგენლებიც.

აი აბაშელი ვალერიან გუგუშვილი. იგი ავტოსარემონტო ბაზის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებელია. ახალგაზრდულ-კომკავშირულმა უბანმა, სადაც იგი მუშაობს, მაღალნაყოფიერი შრომით გაითქვა სახელი. ვ. გუგუშვილი მონაწილეობას იღებდა ციმლიანსკის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე, სადაც ბეჯითი და ინიციატივიანი მუშაკის სახელი მოიხვეჭა.

ახალგაზრდა ინჟინერს, კომუნისტ პროკოფი ლორიას დიადი მშენებლობის ვრცელ ტერიტორიაზე წარმატებით გაჰყავს რკინიგზის ლიანდაგი და აგებს ხელოვნურ ნაგებობებს. მან სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებით დაჩქარა და გააიაფა მშენებლობა, აამაღლა მშენებლობის ხარისხი.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მოწონება დაიმსახურა ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის წყალსატუმბავმა მანქანებმა. ქუთაისურ ტუმბოებს აქ შეუფერხებლად და მაღალნაყოფიერად ამუშავებენ.

აპრილში მშენებლობაზე ჩამოვიდა ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. კოლუაშვილი. მან მშენებლობის კომკავშირულ ორგანიზაციას აღუთქვა, რომ ქუთაისელი მანქანათმშენებლები განუწყვეტლივ უზრუნველყოფენ კუიბიშევჰიდრომშენის ყველა დაკვეთის ვადამდე შესრულებას. თავიანთ დაპირებას ქუთაისელი მანქანათმშენებლები პირნათლად ასრულებენ. ამ ქარხნის საამქროს უფროსი ე. ნაცვლიშვილი ამჟამად ჩვენთან იმყოფება ექსპლოატაციის პირობებში ტუმბოს მუშაობაზე დაკვირვების მოსახდენად და გამოცდილების გასაზიარებლად.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები დიდად კმაყოფილი არიან აგრეთვე თბილისური ლითონდამამუშავებელი ქარხნისა, რომლებსაც მუდამ ვადაზე ადრე გვაწვდის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის კოლექტივი.

მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოსილი კუიბიშეველი მშენებლები წარმატებით ასრულებენ პარტიისა და მთავრობის ყველა დავალებას. წელს მათ გეგმა ვადამდე ადრე შეასრულეს და წარმატებით ხდებიან ამ დიადი მშენებლობის დაწყების ორი წლისთავს.

ინჟინერი კ. გუჯაბიძე,
„კუიბიშევჰიდრომშენის“ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაღაროელთა წარმატება

ბერლინი, 11 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საწარმოებში დღითიდღე ფართოვდება მშრომელთა შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრებაში ყოველდღე ებმებიან სულ ახალი და ახალი კოლექტივები და საწარმოო ბრიგადები, რომლებიც შრომის ნიმუშებს გვიჩვენებენ თავიანთ რესპუბლიკაში სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის ბრძოლაში.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა ხემნიციდან მიღებული ცნობა მაღაროელთა იმ ბრიგადის ახალ წარმატებათა შესახებ, რომელსაც 23 წლის შრომის გმირი ჰანს ბლაიში ხელმძღვანელობს. ბლაიშის ბრიგადამ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მე-2 კონფერენციის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა თავისი ხუთწლიანი გეგმა 1952 წლის 15 ოქტომბრისათვის შეასრულოს. 1951 წელს ბრიგადა ნორმას ყოველთვიურად სულ მცირე 150 პროცენტით ასრულებდა. წელს ბრიგადის წევრებმა ნორმების ყოველთვიური შესრულება 200-400 პროცენტამდე აიყვანეს.

1952 წლის 13 ივნისისათვის ბრიგადამ ოთხი წლის ნორმა შეასრულა და მას შემდეგ 1955 წლის გეგმის ანგარიშში მუშაობს.

ბრიგადამ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია ბრიგადის ყველა წევრის მიერ სამუშაო დროისა და ინსტრუმენტის რაციონალური გამოყენებისა და ბეჯითი სწავლის შედეგად.

ახალგაზრდა შრომის გმირის ბრიგადის მიღწევა შესანიშნავი მაგალითია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელთა ბრძოლისა მშვიდობისათვის, ერთიანობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

მუშაობაში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისათვის გერმანელი თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალურმა საბჭომ ჰანს ბლაიშის კანდიდატურა დაასახელა მისთვის 1952 წლის ეროვნული პრემიის ლაურეატის სპეციალური წოდების მისანიჭებლად.

ბულგარელ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა

სოფია, 12 აგვისტო. (საკდესი). 1951 წელს ბულგარელმა მუშებმა შეიტანეს 10.200-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვამაც სახელმწიფოს დაუზოგა 82 მილიონი ლევი.

ბულგარელ მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ 1952 წელი გადააქციონ დიმიტროვული ხუთწლედის დამამთავრებელ წლად. მარტი პირველ კვარტალში მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშებმა შეიტანეს 7 ათასი რაციონალიზატორული წინადადება. მათგან დაახლოებით 2 ათასი წინადადება უკვე რეალიზებულია. ამან დაზოგა თითქმის 25 მილიონი ლევი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვალუტით დიდი თანხის დაზოგვას.

სოფიის ქარხნის „ბულგარეთის ლითონის ინდუსტრიის“ კოლექტივმა თავისი ძალებით შექმნა და საექსპლოატაციოდ გადასცა ხრახნსაჭრელი ჩარხი, რომლის შემოტანაც ბულგარეთში დასავლეთ გერმანიიდან აკრძალეს ამერიკელმა იმპერიალისტებმა. ახალ ჩარხს საუცხოო საექსპლოატაციო თვისებები აქვს და სახელმწიფოს უზოგავს ათეულათასობით ლევს ვალუტით.

სახალხო ინტელიგენციის კადრების მომზადება ჩინეთში

პეკინი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ინტელიგენციის კადრების მომზადებას. წელს ჩინეთის უმაღლესმა სასწავლებლებმა ათასობით სპეციალისტი გამოუშვეს ჩინეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ იუწყება, რომ კურსდამთავრებულნი პირველ რიგში იგზავნებიან ახალ სამრეწველო საწარმოებში, საირიგაციო მშენებლობებზე, რკინიგზის ტრანსპორტზე, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში. პედაგოგიური ინსტიტუტების ყველა კურსდამთავრებული სამუშაოზე იგზავნება საშუალო სასწავლებლებში.

პუბლიკაციები

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

ქუთაისის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ბოლშევიკურად გამოვასწოროთ ნაკლოვანებები

⊙

გორის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

⊙

ამ დღეებში შედგა გორის მეოთხე საქალაქო პარტიული კონფერენცია, რომელშაც შეაჯამა საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები. მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. რომელაშვილმა.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა სერიოზული მუშაობა გასწია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე. ქალაქის საწარმოებმა 106,3 პროცენტით შეასრულეს შვიდი თვის გეგმა. ნაყოფიერად იმუშავა საკონსერვო ქარხანამ, რომელმაც მეორე კვარტალის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით კვლავ მოიპოვა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამომშვები საწარმოს წოდება. ქარხნის კოლექტივმა შვიდი თვის გეგმა 119,7 პროცენტით შეასრულა და სახელმწიფოს 1.275.400 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა. ქარხნის ეს მიღწევები კარგად დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის შედეგია.

მოწინავე საწარმოთა რიგებშია საყუთე-საკასრე ქარხანა. მან შვიდი თვის გეგმა 127,9 პროცენტით შეასრულა და სახელმწიფოს ნახევარი მილიონი მანეთი ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა გორის ბამბეულის კომბინატის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ეს ახალი საწარმო დღითიდღე იზრდება და დღეღამეში უკვე 5.650 კილოგრამ ნართსა და 33 ათას მეტრ წმინდა ქსოვილს უშვებს. მართალია, კომბინატი „მაღალ" საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს, სისტემატურად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, მაგრამ მის მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. კომბინატი დაკომპლექტებული არ არის შესაფერისი ხელმძღვანელი კადრებით და კვალიფიციური მუშახელით. კომბინატში მოისუსტებს შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგიც არის, რომ ძალიან ცუდად მუშაობენ საწარმოს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა კომბინატში პარტიული მუშაობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ პარტბიუროს ყოფილმა მდივანმა ამხ. კურატაშვილმა საქალაქო კომიტეტის დახმარება ვერ გამოიყენა, თავი ვერ გაართვა საქმეს, ჩაშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, დაუშვა სერიოზული ნაკლოვანებანი კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმეში, ვერ იყენებდა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას. ამიტომ იყო, რომ უკანასკნელად ჩატარებულ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა ის აღარ აირჩიეს პარტბიუროს მდივნად.

მომხსენებელმა ილაპარაკა ახალმშენებლობათა და მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ. აღნიშნა, რომ მთელი რიგი მშენებლობანი სამარცხვინოდ ჩამორჩებიან, ვერ ასრულებენ გეგმებს. ხორცკომბინატის მაცივრის მშენებლობა დანაშაულებრივად ჭიანურდება. ძალიან ცუდად მუშაობს მშენებლობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ვერ რაზმავს კოლექტივს მშენებლობის დროზე დამთავრებისათვის. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ საქალაქო კომიტეტი საჭირო დახმარებას ვერ უწევს მას. მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა „საქმშენის" გორის კანტორისა და გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მშენებლობის ხელმძღვანელობა, რომელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად არ სრულდება სამშენებლო გეგმები.

მოხსენებაში, რომელიც საკმაოდ კრიტიკული და თვითკრიტიკული იყო, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. საქალაქო კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას უთმობდა პარტორგანიზაციათა მდივნების აღზრდას. ამ მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა აამაღლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. ფართოდ გაიშალა კრიტიკა და თვითკრიტიკა. პარტიული კრებები უფრო მომზადებულად და მაღალიდეურ დონეზე ეწყობა. მაგრამ ამ საქმეში მაინც არის ნაკლოვანებანი. პარტიულ კრებებს მოუმზადებლად იწვევენ გოგებაშვილის სახელობის გორის პედასწავლებლის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო ტრესტის, ლუდ-ლიმონათის ქარხნის, „საქმშენის" გორის კანტორის, პურკომბინატის, სარეწაო არტელების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ცუდად დგას პარტიაში მიღების საქმე. საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა 36 პირველადი პარტორგანიზაცია.

ყველაფერი რიგზე არ არის კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეშიც. ზოგიერთმა წრემ იმის გამო, რომ დაბალ იდეურ დონეზე ეწყობოდა მეცადინეობა, ვერ ამოწურა სასწავლო პროგრამა, და ამ წრეებში გამოშვება არ მომხდარა. გორის ბამბეულის კომბინატში პარტიული განათლების ქსელში მხოლოდ 150 ამხანაგი იყო ჩაბმული. ხშირი იყო წრეების მეცადინეობის ჩაშლა. ნაკლოვანებები იყო ლექციური პროპაგანდის დარგში. საქალაქო კომიტეტის მდივნები და ბიუროს წევრები იშვიათად გამოდიოდნენ პარტიული აქტივის წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით.

მომხსენებელმა გააკრიტიკა პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილება გორის სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციებისადმი სუსტი დახმარებისათვის. მკაცრად იქნა გაკრიტიკებული აგრეთვე თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის და მისი განყოფილებების საქმიანობაც.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. გორის საკონსერვო ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. სურამელაშვილმა ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რასაც ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ეწევა მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად. ამასთან აღნიშნა ნაკლოვანებანი და გააკრიტიკა საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება პირველადი ორგანიზაციებისადმი არასაკმაო დახმარებისათვის.

გორის ბამბეულის კომბინატის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ხუბულურმა კონფერენციის დელეგატებს უამბო, თუ რა ძუშაობას ეწევა პარტბიუროს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. მან მკაცრად გააკრიტიკა კომკავშირის საქალაქო კომიტეტი, რომლის ძუშაკები ტელეფონით ხელმძღვანელობენ კომბინატის კომკავშირულ ორგანიზაციას.

ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის სტახანოველმა ამხ. პუგაჩმა ილაპარაკა მშენებლობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. როგორც მან აღნიშნა, მუშები უზრუნველყოფილი არ არიან საცხოვრებელი ბინებით. მშენებელთა შორის სუსტია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

სამარცხვინოდ ჩამორჩა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი. მან ვერ შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საშენ მასალათა წარმოებაში. კამათში გამოსულმა კომბინატის დირექტორმა ამხ. ნ. ჯოჯიშვილმა კი, რომელმაც კონფერენციას წარუდგინა კომბინატის მუშაობის წმინდა სტატისტიკური ანგარიში, არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს დირექცია საწარმოს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. გიგოშვილმა. მან ნაზგასმით აღნიშნა ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში არსებული ნაკლოვანებანი, კონფერენციის დელეგატების ყურადღება გააამახვილა ახალმშენებლობათა ტემპის გადაჭრით გაძლიერების, სახელმწიფო ვაჭრობის მოწესრიგებისა და პარტიული და საბჭოთა აქტივის მიერ რუსული ენის დაუფლების საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ჩუბინიშვილმა, გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობის უფროსმა ს. ლორთქიფანიძემ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ ვ. ქურიძემ, „გორის ვაჭრობის" პარტბიუროს მდივანმა გ. ბადრიაშვილმა და სხვებმა, სულ 22 კაცმა.

კონფერენციამ საქალაქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში და აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ბუჯიაშვილი.

• • •

საქალაქო კომიტეტის პირველმა პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. რომელაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ნ. ლაზარაშვილი, ხოლო მდივნად — ამხ. ნ. ურჯუმელაშვილი.

ხტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში. ხუროთმზე: მეარხეთა ბრიგადის ბრიგადირი ვ. ფირცხალავა (მარჯვნივ) და მეარხე ლ. მაჩაიძე აწყობენ ბოყვების ცენტრალურ სახსმოს.

ფოტო რ. აკოფოვისა.

მეფოლადე გ. ბერეკაშვილის ახალი მიღწევა

„8 საათი და 5 წუთი 11 საათის ნაცვლად" — ასეთი წარწერა გაჩნდა ამას წინათ მარტენის საამქროში ფოლადის დნობის ხანგრძლივობის მაჩვენებელ დაფაზე ახალგაზრდა მეფოლადის გრიგოლ ბერეკაშვილის გვარის გასწვრივ.

კარგა ხანია, რაც საამქროს ჩქაროსნული დნობის სახელმოხვეჭილ ოსტატებსაც კი ფოლადის დნობის დროის ასეთი შემცირებისათვის აღარ მიეღწევიათ. მაგრამ გ. ბერეკაშვილს მოპოვებული წარმატებანი როდი აკმაყოფილებს. დაუღალავად იბრძვის იმისათვის, რომ ყოველ შემდგომ დღეს უფრო მაღალნაყოფიერად იმუშაოს.

8 აგვისტოს გ. ბერეკაშვილის ბრიგადამ ღამის 12 საათზე ჩაიბარა მარტენის ღუმელი.

— დილის 8 საათამდე ფოლადი ციცხვში უნდა ჩავუშვათ, — მიმართა ბერეკაშვილმა თავისი ბრიგადის წევრებს და, როცა ზოგიერთი მათგანის სახეზე დაეჭვება ამოიკითხა, დაუმატა:

— ცვლის უფროსი ევგენი ვორონკოვი გვპირდება, რომ საკაზმე ეზო ჯართს შეუფერხებლად მოგვაწოდებს, ფოლადსასხმელ არხსაც დროზე მოგვიმზადებენ. დანარჩენი საქმის წარმატებით შესრულება კი ჩვენს უნარსა და მონდომებაზეა დამოკიდებული.

ახალგაზრდა მეფოლადეთა ბრიგადა მუშაობას შეუდგა... საამქროს მთელმა კოლექტივმა შეიტყო გ. ბერეკაშვილის გადაწყვეტილება და თვითეული მათგანი ცდილობდა ისე ემუშავნა, რომ მეფოლადეებს ხელი არაფერში შეშლოდათ.

საკაზმე ეზოს ბრიგადირი შ. ქაჯაია, ჩამტვირთავი მემანქანე შ. დუღაშვილი, მეარხეთა ოსტატი დ. გელაშვილი, მსხმელი ხ. წურწუმია, სამსხმელო ამწეს მემანქანე გ. კვირიკაშვილი — აი ისინი, ვისზეც ამყარებენ იმედებს ახალგაზრდა მეფოლადეები.

მეფოლადის თანაშემწეები ვ. ბაკაშვილი, კ. ჯანიკაშვილი და ი. სამაროვი დიდი სიზუსტით ასრულებდნენ დაკისრებულ სამუშაოს.

დილით ელვა-ფურცლებმა მთელ ქარხანას ამცნეს:

„მეფოლადე გრიგოლ ბერეკაშვილის ბრიგადამ დღიური საწარმოო დავალება 164,8 პროცენტით შეასრულა, 7 საათსა და 45 წუთში მიიღო სრული წონის ნადნობი და მარტო ერთ ცვლაში გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 50 ტონა მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადი".

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

უფრო ნაყოფიერად ვიმუშაოთ

მეტალურგთა ქალაქში 4 წლის წინათ მოვედი თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ ლელობიდან. წარმატებით დავამთავრე საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა და რუსთავის ახალმშენებლობათა ობიექტებზე კალატოზად დავიწყე მუშაობა. ამ ხნის განმავლობაში მრავალი საცხოვრებელი სახლის აგებაში მივიღე მონაწილეობა.

მაღალნაყოფიერი შრომისათვის შარშან საქართველოს საუკეთესო კალატოზის წოდება მომენიჭა. ამან უფრო აამაღლა მშენებლობისადმი ჩემი პასუხისმგებლობის გრძნობა.

კალატოზთა ბრიგადა, რომელშიც მე ვმუშაობ, ამჟამად ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდით აგებს საცხოვრებელ სახლს მეტალურგებისათვის. ბრიგადის კალატოზები კ. ლიხოტა, თ. დაუტიშვილი და სხვები ჩემთან ერთად დღეში 12-ის ნაცვლად 18-20 კვადრატულ მეტრ ბლოკს აწყობენ. შეთანხმებული და ენერგიული მუშაობით ამ დღეებში ორსართულიანი სახლის მშენებლობაზე 12 დღეში დავამთავრეთ საკალატოზო სამუშაოები.

— უფრო მაღალნაყოფიერი შრომით ვუპასუხოთ მშობლიური ქარხნისათვის ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელის მინიჭებას!—ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება.

ა. წიკლაური,
მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს კალატოზი.

ჩამორჩენილი საწარმოები და უდარდელი მშენებლები

ჩვენი რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობა დიდ ვალშია მშენებელი ორგანიზაციების წინაშე, საგრძნობლად ჩამორჩება გრანდიოზული მასშტაბის სამრეწველო და საბინაო მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებებს. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ქარხნებმა განვლილ 6 თვეში სამშობლოს 13 მილიონი ცალი აგური დააკლეს. ის ფაქტი, რომ სისტემის მხოლოდ ორმა საწარმომ — სამტრედიისა და ხაშურის აგურის ქარხნებმა — შეასრულა აგურის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა, ხოლო ქარხნების დიდი უმეტესობა სამარცხვინოდ ჩამორჩა, გვიჩვენებს, რომ სამინისტროს აპარატი არაოპერატიულად, მოუქნელად, უდარდელად მუშაობს. სხვა რით შეიძლება ავხსნათ ის გარემოება, რომ ლანჩხუთის აგურის ქარხანამ 6 თვის გეგმა 25,5 პროცენტით შეასრულა, ზუგდიდისამ—33,7 პროცენტით, მეტეხისამ—43,3 პროცენტით.

ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია აგურის ქარხნების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოთა დანაშაულებრივი გაჭიანურება, კაპიტალური მშენებლობის გეგმების სისტემატური ჩაშლა.

შარშან გაზაფხულზე დაიწყო საბურთალოს აგურის ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები. გათვალისწინებული იყო ყველა სამუშაო გასულ წელსვე დაემთავრებინათ ისე, რომ 1952 წელს ქარხანას ერთთიორად მეტი აგური გამოეშვა. მშენებლობა სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მესამე სამმართველოს დაევალა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტრესტის მმართველმა ამხ. ვ. მუსელიანმა საბურთალოს ქარხნის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად დანიშნა თავისი ძმა, არასპეციალისტი ბ. მუსელიანი. ამ უკანასკნელმა საქმეს თავი ვერ გაართვა და 1951 წლის ბოლომდე ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოთა ნახევარიც კი ვერ შეასრულა. საკვირველია, რომ ასეთი მდგომარეობის მიუხედავად სამინისტრომ საწარმო რეკონსტრუქციაქმნილად ჩათვალა და ახალი სამეურნეო წლის პირველი დღიდანვე გაორკეცებული გეგმა მისცა.

უდარდელმა მშენებლებმა ამის შემდეგაც მრავალჯერ ჩაშალეს საბურთალოს ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოთა შესრულების გადები. უკანასკნელად 24 ივნისს ხელმძღვანელმა ორგანოებმა განიხილეს საბურთალოს ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოთა მდგომარეობა. ტრესტის მმართველმა ვ. მუსელიანმა, მთავარმა ინჟინერმა დ. ზედგინიძემ, მესამე სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ვ. შარაბიძემ, მთავარმა ინჟინერმა გ. იობიძემ და სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. მიქიაშვილმა ამჯერად პირობა დადეს, რომ 15 ივლისისათვის უეჭველად დაამთავრებდნენ საბურთალოს ქარხნის რეკონსტრუქციის სამუშაოებს. მშენებლებს თითქოს აღარაფერი უშლიდა ხელს: მოწყობილობა მიიღეს, სამშენებლო მექანიზმები და მასალები უხვად ჰქონდათ, მუშახელით უზრუნველყოფის საქმეც გაუჭიანურებიყა, სამუშაოთა შესრულების გრაფიკიც შეადგინეს, მაგრამ... მაინც გრაფიკი გრაფიკად და დაპირება დაპირებად დარჩა. ეს „უკანასკნელი" ვადაც დიდიხანია გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ მოთავებული არ არის თიხის კარიერისათვის ელექტროქვესადგურის მშენებლობა და ელექტროგაყვანილობის სამუშაოები. თიხის გამაუხეველი განყოფილებისა და თიხის მარაგის შენობის მშენებლობაზე დარჩენილია წვრილმანი სამუშაოები, რომელთა შესრულება თვეზე მეტ დროს მოითხოვს. საყალიბო საამქროში გამართული არ არის საცრები, დეზინგრატორი (თიხის საფქვავი მანქანა), ტრანსპორტიორები, დამთავრებული არ არის ელექტრო-მეურნეობის საჰაერო და საკაბელო ხაზების, აგრეთვე ელექტრომაგისტრალის მოტორებთან შემაერთებელი ხაზების რეკონსტრუქცია, ქარხნის ტერიტორიაზე კანალიზაციისა და წყალსადენის მშენებლობა.

მშენებლობის ხარისხიც არადამაკმაყოფილებელია. არის პროექტიდან გადახვევის, მშენებელი ინჟინრის თვითნებობის, ხარისხის საზიანოდ სამუშაოთა გაადვილების შემთხვევები. მშენებლობაზე მასალების და ხელფასის ფონდის დიდი გადახარჯვაა, რამაც მშენებლობის საგრძნობი გაძვირება გამოიწვია.

მშენებლობის ხელმძღვანელები ამ მდგომარეობის მიზეზებზე მსჯელობისას მუშახელის ნაკლებობაზე მიუთითებენ, რაც სწორი არ არის. განა სამინისტრო, ტრესტი და სამშენებლო სამმართველო მოვალენი არ იყვნენ დროულად ეზრუნათ და ქმედითი ზომები მიეღოთ მუშახელის შესაგროვებლად? ანდა იმ მუშახელს, რომელიც ჰყავთ, უნარიანად, სრული დატვირთვით იყენებენ? 22 და 23 ივლისს ჟანგბადის უქონლობის გამო შეჩერებული იყო ლითონის კონსტრუქციების შედუღების სამუშაოები. მშენებლობის ხელმძღვანელებს — სამუშაოთა მწარმოებელ ვ. მიქიაშვილს და უფროს მექანიკოს მ. ქოჩიაშვილს დროზე რომ ეზრუნათ, ნავთლუღიდან ჟანგბადის მოტანა ძნელი საქმე არ იყო. 23 ივლისს ზეინკალი სმირნოვი შუადღემდე უსაქმოდ იყო და მშენებლობის ხელმძღვანელებს სთხოვდა სათანადო რკინის მასალა მიეცათ, რომ რედუქტორის ტრანსპორტიორთან შემაერთებელი ჭურო დაემონტაჟებინა.

სამინისტროს ხელმძღვანელობა და დახმარება იმით გამოიხატა, რომ მშენებლებს საბურთალოს ქარხანაში კონსულტანტად გაუგზავნა ვინმე გ. მუკარები და მესამე სამშენებლო სამმართველოს უკანონოდ დაავალა მისთვის თვეში დამატებით 1.000 მანეთი მიეცა. დამატებით იმიტომ, რომ ამავე თანამდებობაზე მუშაობისათვის მეტეხის ქარხნის მშენებლობიდან გ. მუკარეზი თვეში 2.000 მანეთს იღებდა.

რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოთა გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ ქარხანა მზად ვერ აღმოჩნდა გადიდებული საგეგმო დავალების შესასრულებლად და 6 თვეში სამშობლოს 4 მილიონი ცალი აგური დააკლო.

უარესი მდგომარეობაა ლანჩხუთის აგურის ქარხნის მშენებლობაზე. ამ ქარხნის მშენებლობა უკვე სამი წელიწადია ჭიანურდება. სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების გამო მრავალჯერ გახდა საჭირო უკვე გაკეთებულის დანგრევა და ხელახლა გაკეთება.

მეტეხის აგურ-კრამიტის მექანიზებული ქარხნის მშენებლობა ჯერ კიდევ 1951 წლის გაზაფხულზე უნდა დამთავრებულიყო. ამ მძლავრი ობიექტის მშენებლობა დაევალა პირველ სამშენებლო უბანს, რომელსაც სათავეში საუცალო ტექნიკური განათლების მქონე გ. უანჩაველი ჩაუყენეს. მან საქმეს თავი ვერ გაართვა, დაუშვა ტექნიკური შეცდომები, სამშენებლო სამუშაოები დაბალხარისხოვნად შეასრულა. მილიონ მანეთზე მეტი თანხა გადახარჯა და მშენებლობა ჩაშალა. მინისტრმა ამხ. ვ. პაატაშვილმა პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად გ. უანჩაველი ამავე ქარხნის დირექტორად დანიშნა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ანგარიში არ გაუწია იმას, რომ გ. უანჩაველი ამ საქმის სპეციალისტი არ არის. ასე არჩევენ კადრებს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში!

მეტეხის ქარხნის მშენებლობაზე ბუხჰალტრად მუშაობდა აფერისტი გალოევა. ბორტმოქმედების კვალის დასაფარავად მან საბუხჰალტრო აღრიცხვა მთლიანად არივ-დარია. სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელთა ხელშეწყობით იგი დღემდე დაუსჯელია.

ქარხნის მშენებლობისათვის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხა მთლიანად დაიხარჯა, ხოლო მშენებლობის დამთავრებას, დაახლოებითი გაანგარიშებით, სამი მილიონი მანეთი კიდევ დასჭირდება.

აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის მშენებლობაზე ხალტურულად მუშაობენ, არის გადახარჯვა, საშენი მასალების განიავება-დატაცების, ყალბი აქტების შედგენის შემთხვევები.

რეკონსტრუქციის, კაპიტალური მშენებლობის სამუშაოები დაბალხარისხოვნად და დიდი გაჭიანურებით სრულდება ზუგდიდისა და ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნებში. ნოსირში მშრალი წნეხვის საამქრო ააგეს, მაშინ როცა მშრალი წნეხისათვის ვარგისი თიხა იქ არ მოიპოვება. ამის გამო ორი წელიწადია საამქრო უმოქმედოდ დგას. სამინისტროს ზოგიერთ მუშაკთა დაუდეგრობის შედეგად დაკარგული აღმოჩნდა 2 მილიონი მანეთი, რაც ამ საამქროს მშენებლობაზე დაიხარჯა.

ასეთი მოუქნელი, უდარდელი მუშაობით სამინისტრომ კაპიტალური მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა მხოლოდ 67,2 პროცენტით შეასრულა.

სამინისტროს მუშაობის არასწორი სტილის დასახასიათებლად მოვიყვანთ ერთ ფაქტს: ცნობილია, რომ ეკლარის ქვა კარგი მოსაპირკეთებელი მასალაა. ამ ქვის წარმოებაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ქვის დამუშავებას გააადვილებს, მას იაფსა და ხელმისაწვდომს გახდის. ალბათ სამინისტროში ამ მიზანს ისახავდნენ, როცა მოსკოვიდან ქვის სახერხი მძლავრი დაზგა-კომბაინი ჩამოიტანეს და ეკლარის ქვის კარიერზე დადგეს. მაგრამ, როგორც ეს ხშირად მომხდარა, ახლაც დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს. მართალია, დაზგა-კომბაინი კარიერზე დაამონტაჟეს, მაგრამ მის შესასწავლად და ასათვისებლად, მისთვის კადრების მოსამზადებლად და ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად არ იზრუნეს. ერთი წლის შემდეგ დაასკვნეს, რომ ეს დაზგა-კომბაინი ეკლარის ქვის კარიერისათვის გამოუსადეგარია და თეძამის ქვის წარმოებაში გადაიტანეს, სადაც მისი საწარმოო სიმძლავრე გამოყენებულია მხოლოდ 20-25 პროცენტით. ამრიგად, უუნარო ხელმძღვანელობის შედეგად უნაყოფოდ გაწეულ იქნა დიდი მუშაობა, დაიხარჯა მნიშვნელოვანი თანხა. დანაშაულია ისიც, რომ ასეთი მძლავრი მანქანა ფაქტიურად მომცდარია.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აგურ-კრამიტის ქარხნების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოთა დაჩქარებას, გადაჭრით გააუმჯობესოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების, სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტისა და მისი სამშენებლო სამმართველოების მუშაობა, მშენებლობის ხელმძღვანელობას ჩამოაშოროს უუნარო და არასპეციალისტი მუშაკები, მშენებელთა მთელი კოლექტივი დარაზმოს მშენებლობის ხარისხის ასამაღლებლად, მშენებლობის გასაიაფებლად და დასაჩქარებლად.

მ. აროშიძე.

ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს

მახარაძის რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება წინათ დაშვებული სერიოზული შეცდომების გამოსასწორებლად.

რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ იყო გავრცელებული მუშახელის დაქირავების პრაქტიკა, ამასთან მუშახელს უმეტეს შემთხვევაში ქირაობდნენ მაშინ, როდესაც კოლმეურნეთა ნაწილი დაუტვირთავი იყო, არ მონაწილეობდა საკოლმეურნეო შრომაში.

1951 წლის პირველი ივლისისათვის რაიონში გაშენებული იყო 233 ჰექტარი ჩაისა და 738,8 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები. აღნიშნული სამუშაოები ძირითადად დაქირავებული მუშახელის საშუალებით შესრულდა, რისთვისაც კოლმეურნეობებმა 4.250.000 მანეთი გადაიხადეს. სულ 1951 წლის მანძილზე რაიონის კოლმეურნეობებმა დაქირავებულ მუშახელს შესრულებულ სამუშაოებში 11.307.000 მანეთი გადაუხადეს.

1952 წლის პირველი ივლისისათვის რაიონის კოლმეურნეობებში გაშენებულია 381 ჰექტარი ჩაის და 638,3 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები. აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაოები თითქმის მთლიანად შესრულებულია კოლმეურნეთა მიერ. შესრულებული სამუშაოს ხარისხი წელს გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინა წლებში.

წელს იმასთან ერთად, რომ ყველა სამუშაო კოლმეურნეობებში საკუთარი ძალებით სრულდება, აღკვეთილია აგრეთვე ხარჯები, რომლებსაც საკოლმეურნეო წარმოებასთან საერთო არაფერი აქვთ. ამის შედეგად რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წლის 6 თვეში წინა წელთან შედარებით საწარმოო ხარჯები შეამცირეს 4.839.230 მანეთით. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის კოლმეურნეთა შრომადღის ღირებულებას.

სოფელ ჭანიეთის კოლმეურნეობის შემოსავალი შარშან 4.529.984 მანეთს უდრიდა. კოლმეურნეობამ 1951 წლის პირველი ივლისისათვის 2 ჰექტარი ჩაისა და 25,6 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციისათვის ნიადაგის მოსამზადებლად დაქირავებულ მუშახელს 177.300 მანეთი გადაუხადა. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ გასწია შეუსაბამო და აუნახლაურებელი ხარჯები — „ბეუეჭესს" მშენებლობაზე დაქირავებულ მუშახელს 89.200 მანეთი მისცა; ქ. მახარაძის თეატრის მშენებლობაზე მომუშავე კოლმეურნეებს დაურიცხა 40 შრომადღე და მისცა 4.762 მანეთი. ჰიპოდრომ-სტადიონის მშენებლობაზე 3.343 მანეთის სამუშაო გასწია. გარდა ამისა, უკანონოდ გასცეს და გაანიავეს 3,8 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა.

ჭანეთელმა კოლმეურნეებმა წელს არსებითად გარდაქმნეს მუშაობა. საკუთარი საშუალებებით მოამზადეს ნიადაგი და გააშენეს 14,9 ჰექტარი ჩაის და 18 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები, სავსებით აღკვეთეს გაუმართლებელი ხარჯები, კოლმეურნეობას დაუბრუნდა განიავებული 3,8 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა, კოლმეურნეები უფრო ინტენსიურად ჩაებნენ საკოლმეურნეო შრომაში. ყოველივე ამის შედეგად ჭანიეთის კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის მარტო 6 თვეში საწარმოო ხარჯებში 274.605 მანეთი ეკონომია გასწია. ასევე ითქმის ლიხაურის, სილაურის, მელექედურის, ნაგომრის და სხვა კოლმეურნეობებზე.

მკაცრად ისჯებიან საკოლმეურნეო დოვლათის და თანხების მიმთვისებლები და გამნიავებლები. სამუშაოდან მოიხსნა და პასუხისგებაში მიეცემულია კონჭკათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. კოსტავა, რომელიც საკოლმეურნეო თანხების ხარჯვაში ხელგაშლილობას იჩენდა. ასევე სამუშაოდან მოიხსნა ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. მოქია, რომელმაც დიდი რაოდენობით გაანიავა საკოლმეურნეო თანხები და დოვლათი. სამუშაოდან მოხსნილია აგრეთვე მაკვანეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ნაკაიძე და სხვ.

რაიკომმა სერიოზული მუშაობა გასწია მიტაცებული თანხების, პროდუქტებისა და მიწების კოლმეურნეობებისათვის დასაბრუნებლად. უკანასკნელი ცნობით რაიონის კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ რაიონულ მშენებლობებზე უკანონოდ დახარჯული 468.882 მანეთი, ჰიპოდრომ-სტადიონის მშენებლობაზე უკანონოდ ჩარიცხული 1.202.887 მანეთი, მიტაცებული 110,9 ჰექტარი მიწა, 79 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 87 თხა, 7 ღორი, 4 ცხენი, 748 ფრთა ქათამი, 2.345 ლიტრი რძის ღირებულება, 14 ცენტნერი მარცვლეული. აღდგენილ იქნა განუყოფელ ფონდებში უკანონოდ დახარჯული 388.105 მანეთი და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ორაგველიძე კვლავ ძველ

სალეწი მანქანა საათობრივი გრაფიკით მუშაობს

კაშრეთის მტს-ის სალეწი მანქანის მემანქანის ივანე სოლოდაშვილის ნაამგობი

ათ წელზე მეტია, რაც მტს-ში სალეწი მანქანის მემანქანედ ვმუშაობ, მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ კი ტრაქტორისტის მოვალეობასაც ვასრულებ.

მუშაობის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ თუ საჭირო უნარსა და მოხდომებას გამოვიჩენთ, დღეში შეგვიძლია გავლეწოთ არა ნორმით დაწესებული, ვთქვათ, 8 ან 12 ტონა ხორბალი, არამედ სამჯერ და ბევრად მეტიც.

წელს საკოლმეურნეო მინდვრებში უხვი მოსავლის მოსაყვანად გაწეულმა შრომამ კარგი შედეგი მოგვცა. სოფელ კაშრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ამჟამად ვმუშაობ, თვითეულ ჰექტარზე მოსავალმა გასული წლისას ერთი ხუთად და მეტად გადაჭარბა. მოსავალი აქ აიღეს კომბაინებით, აგრეთვე მარტივი მანქანებით და ხელით.

მოსავლის აღების დაწყების წინ მექანიზატორებმა მოვითათბირეთ, ავწონდავწონეთ მდგომარეობა და გადავწყვიტეთ ახლებურად მოგვეწყო მუშაობა. საათობრივი გრაფიკი შევადგინეთ. სალეწ მანქანაზე მუშაობისათვის თანაშემწედ ჩემივე შვილი ალექსანდრე ავიყვანე, ტრაქტორისტებად კი — ს. მამისაშვილი და სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი გ. ფროდიაშვილი.

რა გვიჩვენა მუშაობის ახლებურად მოწყობამ? — პირველსავე დღეს 18 საათში 15 ტონა ხორბალი გავლეწეთ, ხოლო მეორე დღეს—26 ტონა. შემდეგ დღეებში ეს რაოდენობა უფრო გავადიდეთ, ხშირად საათში 1,5-დან 2 ტონამდე ხორბალს ვლეწავთ.

რით ვაღწევთ ამ წარმატებას, როგორ მოვაწყეთ შრომა?

ჩემი აგრეგატის წევრები გამოცდილი და საქმის მცოდნენი არიან. ისინი ყველა ზომას იღებენ იმისათვის, რომ მანქანამ შეუფერხებლად და მაღალნაყოფიერად იმუშაოს, კოლმეურნეობებში მოკლე დროში გაილეწოს ხორბალი და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმაც მალე შესრულდეს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. მთავრიშვილთან და მტს-ის ხელმძღვანელებთან ერთად გამოვიანგარიშეთ, რომ სალეწი მანქანის ორცვლიანი მუშაობისათვის, გარდა მტს-ის მექანიზატორებისა, საჭიროა 50 კაცი, აქედან დოლისათვის პურის მიმწოდებელი — 4, ძნის დოლთან გამშლელი —ამდენივე, ძნის ზვინიდან ბაქნამდე მიმწოდებელი — 12, ძნის ბაქნიდან მიმწოდებელი — 8, ნამჯის გამომცელელი, ნამჯის გამომტანი და გალეწილი ხორბლის გამომცელელი — ოთხ-ოთხი, პურის მწონავი — ორი, ხოლო ნამჯის დამდგმელი—8 კაცი.

გრაფიკის მიხედვით ჩვენთან დოლისათვის პურის მიმწოდებლად ერთდროულად მუშაობს ორი კოლმეურნე. მედოლეები ერთმანეთს ყოველ ორ საათში ცვლიან. ასევე ერთდროულად მუშაობენ ძნის ორ-ორი გამშლელი (ერთმანეთს ყოველ 4 საათში ცვლიან), ყოველ ოთხ საათში ცვლიან ერთმანეთს ძნის ზვინიდან და ბაქნიდან მიმწოდებლებიც.

გეგმა ისე შევადგინეთ, რომ გავითვალისწინეთ დღეღამეში სალეწი მანქანის 20 საათის მუშაობა.

ცნობილია, რომ დოლისათვის ხორბლის სწრაფად და საკმაო რაოდენობით მიწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. ამიტომ მედოლეებად კოლმეურნეობამ შეგვირჩია სტახანოველი ქალები: ა. მთავრიშვილი, მ. ლაზაშვილი, ა. ბარბაქაძე, მ. ბაკანაძე.

დილის ხუთი საათიდან ერთი საათის განმავლობაში ვწმენდთ და წესრიგში მოგვყავს სალეწი მანქანა და ტრაქტორი, ვცვლით დაზიანებულ ნაწილებს, ვუჭერთ ჭანჭიკებს და სამაგრებს, ვპოხავთ, ვზეთავთ და უზრუნველყოფთ საწვავით და წყლით.

ლეწვას ვიწყებთ დილის 6 საათზე და პირველი ცვლა მუშაობას დღის 4 საათამდე აგრძელებს. ამ დროს ერთი საათის განმავლობაში კვლავ ეწყობა მანქანების ტექმოვლა, ხოლო დღის ხუთი საათიდან ღამის 3 საათამდე გრძელდება ლეწვა.

ჩვენ დამატებით მთელი რიგი რაციონალიზატორული ღონისძიებებიც განვახორციელეთ.

სალეწი მანქანისათვის ძნის მიწოდება რომ არ შეფერხებულიყო და ერთდროულად მაქანაზე საკმაო რაოდენობის მუშახელს ემუშავა, მედოლეების, გამშლელისა და მიმწოდებლისათვის სალეწს დამატებითი ბაქანი მოვუწყეთ.

ლეწვის მაღალი ტემპის უზრუნველსაყოფად ელევატორის ჩქარი მუშაობისათვის წამყვანი შკივი 10-15 მილიმეტრით გავადიდეთ.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ლეწვის სიჩქარეზე გავლენას ახდენს ამძრავი ღვედის სიგრძე, ზოგჯერ იგი სიმოკლის გამო კიდევაც „ბუქსაობს". ამიტომ ჩვეულებრივად მიღებული 18-20 მეტრიდან ღვედის სიგრძე 26-28 მეტრამდე ავიყვანეთ. ამით დოლის ინერციულმა ძალამ მნიშვნელოვნად იმატა და საერთოდ მანქანის წარმადობა დიდად გაიზარდა.

მთავარი ის არის, რომ საათობრივი გრაფიკის მიხედვით მუშაობისას წინასწარ ვიცით, რამდენს გავლეწავთ თვითეულ საათში. მუშაობა ისეა მოწესრიგებული, რომ გაცდენა აღკვეთილია, ამას განსაკუთრებით ისიც უწყობს ხელს, რომ მომსახურე პერსონალი მანქანის გაუჩერებლად იცვლება.

ჩვენმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სალეწი მანქანის საათობრივი გრაფიკით მუშაობით თვითეული ტონის გალეწვაზე ნაკლები მუშა-ხელია საჭირო, ამასთან საწვავი მასალაც უფრო ნაკლები იხარჯება, ლეწვის დრო მცირდება და მანქანის გამომუშავება იზრდება.

სალეწი მანქანის საათობრივი გრაფიკით მუშაობა ყველა კოლმეურნეობაში უნდა დაინერგოს.

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი

ჩვენი სამშობლო დიდი სარკინიგზო სახელმწიფოა. თვალუწვდენელი, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი სასიცოცხლო არტერიის — რკინიგზის ტრანსპორტის კადრების სამჭედლოა ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი.

დიდია ახალგაზრდობის მისწრაფება ამ ინსტიტუტში შესვლისადმი. წელს 433 კაცი აბარებს საკონკურსო გამოცდას, ვაკანტური ადგილი კი ორას ორმოცდაათია. 30 სტუდენტი, როგორც მედალოსანი, ინსტიტუტში უგამოცდოდ ჩაირიცხა.

სამშენებლო, ხიდებისა და გვირაბების მშენებლების, მექანიკური, ელექტროსატრანსპორტო და საექსპლოატაციო ფაკულტეტები წელს სტუდენტთა ახალ შევსებას მიიღებენ. ყველაზე მეტი მსურველი სამშენებლო და ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის ფაკულტეტებზე მოდის. აქ ერთ ვაკანტურ ადგილზე 3-4 შემსვლელი ეცილება ერთმანეთს.

გამოცდების პირველმა თორმეტმა დღემ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უკეთესი მომზადება გამოავლინა მათემატიკაში. მარტო ქართულ სექტორზე მათემატიკაში 43-მა ახალგაზრდამ მიიღო ნიშანი „5", ხოლო 160-მა ნიშანი „4".

სამწუხაროდ, ასე როდი ითქმის რუსულ ენასა და განსაკუთრებით ხაზვაზე. რუსულ წერაში პირველ 12 დღეს 41 არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაიწერა. ცუდი მომზადება გამოავლინა შემსვლელთა საგრძნობმა ნაწილმა ხაზვაში. როგორც გამოცდებმა ცხადყო, ამ საგნის სწავლებას მთელი რიგი სკოლები არასერიოზულად ეკიდებიან, არ ითვალისწინებენ, რომ ხაზვა სრულუფლებიანი და სრულფასოვანი საგანია.

ინსტიტუტში გამოცდები ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ახალგაზრდა მეშახტეთა გამოშვება

ახალციხე. (საკ. კორ.). მეცადინეობა დაამთავრა ვალეს სამთო-სამრეწველო სკოლამ, რომელმაც 200 ახალგაზრდა მაღაროელი გამოუშვა.

კურსდამთავრებულთა შორის არიან მაღალკვალიფიციური მებიგეები, მნგრეველები და გამყვანები ა. ინასარიძე, ი. ნებაძე, ვ. სუხარკოვი, ვ. მოსიაშვილი და სხვები. სკოლამ მოამზადა აგრეთვე ზეინკლები, კალატოზები, დურგლები და სხვა პროფესიის მაღაროელები.

ახალგაზრდა მეშახტეები ამჟამად ნაყოფიერად მუშაობენ ახალციხის შახტების მშენებლობის ობიექტებზე და ქვანახშირის სანგრევებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლობის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსადმი

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). 11 აგვისტოს სსრ კავშირის წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლობას პატივი აქვს აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის სახელზე მიღებულია ბერძენი პოლიტიკური პატიმრების ნათესავთა შემდეგი მიმართვა:

„ჩვენ, ბერძენი პოლიტიკური პატიმრების დატანჯული და განწამები დედები, ცოლები და დები, გულის ტკივილითა და შეშფოთებით მოგმართავთ და ვითხოვთ თქვენს შუამავლობას კუნძულ იურაზე საკონცენტრაციო ბანაკის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. გთხოვთ ჩაერიოთ საქმეში და არ დაუშვათ ჩვენი ნათესავების მოსპობა. ყველა უკანასკნელი ცნობა, რომელიც ძლივს მივიღეთ ბანაკის იზოლირებულ პატიმართაგან იმას მოწმობს, რომ ბანაკში კვლავ არსებობს ტერორი და ცემა, იძულება, არ არსებობს არავითარი კონტროლი სპატიმროს დარაჯების მოქმედებისადმი. უმთავრესი კი ის არის, რომ მთავრდება მშენებლობა ახალი სპატიმროს შენობებისა, რომლებიც ყველა კომპეტენტური პირისაგან ცნობილია უვარგისად პატიმრებისათვის. სპატიმროს დირექტორის, დარაჯების, დამშვიდების ღონისძიებათა განმხორციელებელი კომისიის წევრების არაერთგზისი განცხადება ხსენებული შენობების მომავალი გამოყენების შესახებ გვარწმუნებს, რომ ჩვენი ნათესავების სიცოცხლე საფრთხეშია. ადამიანური გრძნობებისათვის, ცივილიზაციისა და სამართლიანობისათვის მოგმართავთ და ვითხოვთ თქვენს შუამავლობას იურას ბანაკის ლიკვიდაციის მიზნით, რომლის ნესტიანი ჯურღმულები ჩვენი ნათესავების სამარეს წარმოადგენენ. კმარა ისინი, ვინც უკვე სრულიად დაკარგა ჯანმრთელობა და სიცოცხლე კუნძულ იურაზე. კმარა იზოლაცია, რასაც უკვე მრავალი წლის განმავლობაში განიცდის ათასობით პატიმარი. ბოლო უნდა მოეღოს წამებას, შიმშილსა და წყურვილს, რამაც ამდენი ადამიანი მოსპო.

იმედი გვაქვს, ჩვენს მიერ მოყვანილი კონკრეტული ცნობები დაგარწმუნებენ თქვენ, რომ საჭიროა იურას საკონცენტრაციო ბანაკის ლიკვიდაცია. იმედი გვაქვს, რომ თქვენ ყურადიღებთ პოლიტიკური პატიმრების იმ ათასობით ბერძენი დედის, ცოლისა და დის ტკივილისა და სასოწარკვეთილების კივილს, რომლებიც მოითხოვენ იურას საკონცენტრაციო ბანაკის, როგორც ადამიანთა პატიმრობის ადგილის ლიკვიდაციას.

თქვენდამი პატივისცემით

ეკატერინი პროველეხვუ, ელენი ცარეპა, მარია მურატიდუ, ელენი კრიოლაკუ, პარასკევი ზოგრაფუ, ადამობულუ პოტამიანუ, ფოტინი ლინგუ, ეკატერინი ფსიხა, ელეფთერია ანასტასია, პაპაიანაკი".

უგზავნის რა ზემოთ მოყვანილი მიმართვის ტექსტს, წარმომადგენლობა სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს იხელმძღვანელოს გენერალური ასამბლეის მესამე და მეოთხე სესიაზე მიღებული ჰუმანურობის პრინციპებით საბერძნეთში პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა მიმართ და მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ბერძენი პოლიტიკური პატიმრების დასაცავად, რომლებზეც ლაპარაკია აღნიშნულ მიმართვაში.

გთხოვთ წარმომადგენლობის ეს წერილი და აღნიშნული მიმართვა გამოსცეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტების სახით და დაურიგოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის მთავრობებს".

განთავისუფლების დღის აღსანიშნავად

ბუქარესტი, 12 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის ყველა სამრეწველო საწარმოში, რკინიგზებზე და წყლის ტრანსპორტზე ფართოდდება შრომითი შეჯიბრება ფაშისტური ჩაგვრისაგან საბჭოთა არმიის მიერ რუმინეთის განთავისუფლების მერვე წლისთავის აღსანიშნავად, რომელიც 23 აგვისტოს სრულდება.

პლოეშტის ნავთის მოწყობილობის ქარხნის 300-ზე მეტმა მუშამ შეასრულა მიმდინარე წლის ნორმები. ამ საწარმოს სტახანოვური ბრიგადა, რომელსაც კონსტანტინე პრუშანი მეთაურობს, ცვლის დავალებას ყოველდღიურად 200 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს.

მომავალი წლის ანგარიშში უშვებს პროდუქციას ქალაქ არადის ჩარხმშენებელი ქარხნის ათობით მუშა. ამ ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმა 7 ნოემბრამდე შეასრულოს, ხოლო 23 აგვისტოს, ეროვნული დღესასწაულის დღეს, პროდუქცია 15 სექტემბრის ანგარიშში გამოუშვას.

პაშკანის რკინიგზის სარემონტო სახელოსნოების მუშებმა საადღესასწაულო შეჯიბრების მსვლელობაში 224 ათასზე მეტი ლეი დაუზოგეს სახელმწიფოს. შორეკანის ქვანახშირის შახტების 33 ბრიგადა ქვანახშირს მომავალი წლის ანგარიშში იძლევა.

ჩინეთის ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან

შანხაი. (საკ. კორ.). [illegible] დღითიდღე მტკიცდება და ფართოვდება ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. ამ ქვეყნებთან ვაჭრობას კეთილი გავლენა აქვს ჩინეთში მილიონობით ადამიანის მდგომარეობაზე და მათ შორის აღმოსავლეთ ჩინეთის 5 მილიონზე მეტი მეაბრეშუმისა და 3 მილიონზე მეტი მეჩაიეს მდგომარეობაზე. ეს ვაჭრობა ხელს უწყობს აგრეთვე იმ საწარმოების აყვავებას, რომლებიც ნედლეულს საექსპორტოდ ამუშავებენ.

გაზეთი „სინვენჟიბაო" 10 აგვისტოს წერდა: 1952 წელს ჩინეთმა, აბრეშუმის ნედლი პარკის ექსპორტის გარდა, დაიწყო აბრეშუმის ქსოვილების ექსპორტი. აბრეშუმის ექსპორტის გაფართოებამ გამოიწვია მისი წარმოების გაფართოება. მაგალითად, აბრეშუმის პარკის მოსავალი წელს დაახლოებით 20 პროცენტით გადიდდა შარშანდელთან შედარებით. 40-ზე მეტმა პატარა აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ, რომლებმაც წინათ მუშაობა შეწყვიტეს, ამჟამად წარმოება განაახლა და სახელმწიფოს დაავალეთს ასრულებს. აბრეშუმის მრეწველობაში სავსებით ლიკვიდირებულია უმუშევრობა.

ჩაის წარმოებამ აღმოსავლეთ ჩინეთში უკვე 1951 წელს მიაღწია უმაღლეს დონეს ამ უკანასკნელი 13 წლის მანძილზე და 23 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. 1952 წელს ჩაის წარმოების დონე წინასწარი გამოანგარიშებით კიდევ 12 პროცენტით გადიდდება. ეს აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისათვის ჩაის მიწოდების გადიდების შედეგია.

სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობა, რაც თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე წარმოებს, — წერს გაზეთი, — მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩინეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაში და მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობის გადიდების ერთ-ერთი წყაროა.

უთანხმოება „ევროპის არმიის" შექმნის გზაზე

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, პარიზში დამთავრდა იმ ექვსი ქვეყნის წარმომადგენელთა თათბირი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების", ე. ი. „ევროპის არმიის" დაარსების შესახებ. თათბირზე განიხილეს „ევროპის არმიაში" სამხედრო სამსახურის ვადის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული საკითხები. თათბირის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ „ამჟამად შეუძლებელია მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომელიც მომავალში იქნებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საფუძველი".

მოძმე ხალხთა სოციალური მეგობრობა

წერილები სოფლიდან

3. სევანელი მებადური

... ღამით სევანის ტბაზე ხანდახან უჩვეულო სიჩუმე დაისადგურებს ხოლმე. ისე გაინაბება ტბის ზედაპირი, ოფიცრებთ, ღრმა ძილს მისცემია და უძრაობით ცდილობს ბნელში გაუჩინარებას, მაგრამ ვარსკვლავები ამხელენ მას! ჰგავს: სამხრეთის მოკიაფე ვარსკვლავები ჩამოსახლებულან ტბაში და სევანიც თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა არის... ისევ გაიელვებს გიორგი ბაშინჯაღიანის მადლმოსილი ტილო: სწორედ სევანის ასეთი უშფოთველი ტალღა წევს მის სურათზე, ასეთი ვარსკვლავებიანი ცა გადმოხურვია სევანს და ტბის ნაპირიც ასეა მოვერცხლილი; სიცოცხლის ცხოველმყოფელი შუქი საზეიმოდ აღბეჭდილა მხატვრის სურათზე და ცისფერი სევანიც უმცენარო მთების უბეში ლაღად გაწოლილი, მხილველის წინაშე ჭეშმარიტად სიცოცხლის უშრეტ ძალად წარმოისახება...

* * *

სევანელი ბავშვები რიკტაფელასა და ბურთზე უფრო ანკესს ეტანებიან. დარბაისლურად სხედან ეს ცეროდენა ბავშვები ტბის ნაპირზე, ანკესები ჩაუყრიათ წყალში და გულისფანცქალით ელოდებიან, როდის წაეტანება ანკესს ფრთხილი და მარდი კალმახი.

სევანის შემოგარენი მებადურთა მხარედ იწოდება და ყოველ ოჯახში აუცილებელ საოჯახო ნივთებად აქვთ ბადეები და ანკესები.

და ივლისის ამ მყუდრო ღამეში სერგი მხეიანთან ერთად ნავში რომ უწვერულვაშო ყმაწვილები სხედან, — ესენი უკვე გამოცდილი მებადურნი არიან, ყოველი მათგანი ოსტატურად აფენს სევანის ფსკერზე ვებერთელა ბადეს და შეუმცდარად იცის, ამ ვრცელი ტბის რომელ ყურეში რა ჯიშის თევზია დაბუდებული...

სევანის ტბა მარტო მთების სამკაულს როდი წარმოადგენს, მას სომხეთის რესპუბლიკისათვის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ყოველწლიურად ასეულ ტონობით მაღალხარისხოვან თევზს იჭერენ სევანელი მებადურნი. მარტო წელს რვაასი ტონა კალმახი და ხრამული გაგზავნეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში სევანელებმა. და რომ თევზის მარაგი არ გამოილიოს, აქ ფართოდაა გამოყენებული თევზის ხელოვნური გამრავლება. წელს საზოგადოთუმეტი მილიონი ცალი ახალი ჯიშის თევზი—„სიგი" „ჩაასახლეს" სევანში. მათი ზრდა ნორმალურად მიმდინარეობს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სევანის ტბაზე თევზჭერა პრიმიტულად და უსისტემოდ წარმოებდა, ხოლო თევზის მარაგის შენარჩუნებასა და ახალი ჯიშების მოშენებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. თვით სევანის რაიონი ერთი უსინათლო კუთხე იყო.

სევანით სარგებლობდნენ, ხოლო სევანისათვის არავინ ზრუნავდა.

და სერგი მხეიანის პატარა სოფელი ზაღალუც მწირი იყო და დუხჭირი ცხოვრებით სავსე. გამოქვაბულში ცხოვრობდა სერგი მხეიანი, ფანჯარა არ ჰქონდა იმ „სახლს", არც ეზო ამშვენებდა. ერთადერთი სიამტკბილე იმ ძველი ცხოვრებისა ბებიასეული ზღაპრები. ფეხმორთხმული იჯდა ბებია აღრჩოლებულ კერასან და ზღაპრებს ჰყვებოდა. ყველა ზღაპარში მებადური იყო მთავარი გმირი.

და ყველა ზღაპარში მებადურის საშიშარი, ხიფათიანი ცხოვრება და შიმშილი იყო ჩართული, — მებადური ყოველთვის უვნებელი რჩებოდა—ხან ოქროს თევზი, ხან ოქროს ფრინველი და ხან რაღაც სხვა იდუმალი ძალა „შველოდა" მებადურს... შიმშილი და სიღატაკე კი აჩრდილივით თან ახლდა მას ცხოვრებას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაიგდო ზურგიდან ეს ავბედითი ტვირთი სევანელმა მებადურმა!

მდინარეები, ტბები და ზღვები ხალხის სამსახურში ჩააყენა ხალხის ბელადმა და ჩვენმა ცხოვრებამ მკვეთრად იცვალა სახე, — სახე იცვალა სევანის ტბის ნაპირზე გაშენებულმა სერგი მხეიანის პატარა სოფელმა ზაღალუმაც: მზის სინათლეზე ამოვიდნენ მებადურები. მყარი და სინათლიანი საცხოვრებელი სახლები აიგეს, ჩუქურთმებიანი კარ-ფანჯარა დაჰკიდეს სახლს, ლამაზად შემომესრეს ეზოები და ამ ახალ სახლებში ფეხმოუცვლელად დამკვიდრდა ლაღი და ნალიანი ცხოვრება.

გომურები ამოქოლეს. სიღარიბე და სიდუხჭირე გაანაპირეს და მოუსავლეთში გადაისროლეს.

...არ უკვირს ახლა ლიპარიტს, რომ სევანი ასეა აშენებული და განათებული. არც ის უკვირს, რომ ყოველ სოფელში სკოლაა, საექიმო პუნქტი, სამკითხველო... ამდენი ნავი ჰყავთ სევანელ მებადურებს, საგანგებოდ ნაქსოვი ბადეებია ჩაფენილი სევანის ტბაში; აქვე ტბის ნაპირზე თევზის გადამამუშავებელი ქარხანაა. ამ ქარხანაში ვლადივოსტოკელი გალინა ოვჩინიკოვა მუშაობს დირექტორად... და ყველაფერი ეს, როგორც სერგი მხეიანმა შენიშნა, ჩვეულებრივი ამბავია ლიპარიტისათვის. იცით რატომ? წარსულის სიდუხჭირეს არ შესწრებია ეს ჩვენი ბედნიერი თაობა.

* * *

რამდენიმე წლის წინათ სევანის თევზჭერის სამმართველომ ვლადივოსტოკის თევზისგადამამუშავებელ ქარხნის დირექციას წერილით მიმართა — სევანში დროებით სამუშაოდ გამოეგზავნათ გამოცდილი ლაბორანტი.

წერილში მოკლედ ეწერა: თევზჭერა წლითიწლობით იზრდება და სევანზე ახალი ქარხანა ავაგეთ, სწორედ ისეთივე ტიპისა, როგორიც თქვენი ქარხანაა. ჩვენს ახალგაზრდებს დახელოვნება სჭირდებათ, იმედი გვაქვს დაგვეხმარებითო.

საპასუხო წერილის ნაცვლად ვლადივოსტოკიდან გალინა ოვჩინიკოვა ჩამოვიდა. ახალგაზრდა, ქერათმიანი, ცქრიალა. მართალი უნდა ითქვას — სევანის ქარხნის დირექციას თავდაპირველად არც კი ესიამოვნა გალინა ოვჩინიკოვას ჩამოსვლა — ახალგაზრდაა, გამოუცდელი იქნება და საქმეს თავს ვერ გაართმევსო, მაგრამ პირველსავე დღეს, მიუხედავად დაღლილობისა, გალინამ განსაკუთრებული წესრიგი დაიჭირა ქარხანაში. საღამოს კი, სევანის ტბის პატარა კუნძულისკენ სწრაფად გააქანა ნავი და მიამგვანა სევანის მშვიდი და მსუბუქი ტალღა წყნარი ოკეანის ტალღას, ვლადივოსტოკის ნაპირს ალერსით რომ ეთამაშება... შორს, შორს არის ახლა მშობლიური ქალაქი, ბავშვობიდანვე თანშეზრდილი ტოლ-მეგობრები, ხალხმრავალი და გაბიერი ქუჩები, მაღალანძებიანი საოკეანო ხომალდები, მაგრამ გული როდი უღონდება გალინას; ეს სევანიც ახლობელია და მშობლიური. დღეს აქ, სევანის ტბაზეა საჭირო მისი შრომა და ოსტატობა, იგი ხომ ხალისით გამოემგზავრა შორეული აღმოსავლეთიდან მცხუნვარე სამხრეთში... არა, მცირეხნით არ დარჩება ეს ახალგაზრდა ოსტატი სევანში; ქარხნის მექანიზმები რთულია, დიდი დროა საჭირო მისი ზუსტი შესწავლისათვის და მას გული ნებას არ მისცემს შუაგზაზე მიატოვოს საქმე.

ამ პატარა კუნძულზე შეხვდა პირველად გალინა სახელმოხვეჭილ მებადურს სერგი მხეიანს, მასთან ახალგაზრდა მებადურნი იყვნენ. მოხუცი დროდადრო მარცხენა ხელს გაიშვერდა ხოლმე სევანის ტბის რომელიმე კუთხისკენ და ეჭვმიუტანლად ამბობდა: იმ ყურეში წყალი მომეტებულად ცივია, მთის ანკარა წყაროები ერთვის ტბას, ამის გამო ყველაზე მეტად კალმახი იქ ბუდობს; ხოლო აქეთ, საპირდაპირო მხარეს, სადაც სალი და ასხლეტილი კლდე ახლოს მოკვრია სევანს, წყალი შედარებით თბილია და ხრამული ამ ადგილს ეტანება უფრო... ხვალ ღამით ჩვენი ბრიგადა კალმახების დასაჭერად გაემგზავრება...

სერგი მხეიანმა და ახალგაზრდა მეთევზეებმაც იცნეს გალინა ოვჩინიკოვა. თუმცა იგი გუშინ ჩამოვიდა სევანში, მაგრამ ვლადივოსტოკელი ოსტატის გამოჩენა არავის დარჩენია შეუმჩნეველი.

ქალიშვილი თამამად მივიდა სევანელ მებადურებთან, მიესალმა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი, მათ შორის ჩადგა, თვალებზე ორივე ხელი მოიჩრდილა...

— მართლაც ნამდვილი ზღვაა სევანი! როგორი ლივლივა და დაწმენდილი წყალია... მცირე ხნის შემდეგ დაუმატა.

— ვლადივოსტოკშიც ასეა, ოღონდ იქ ნაპირს ვერ მიაწვდენ თვალს, ისე კი მეტწილად ასევე შშვიდია წყნარი ოკეანის ნაპირი ვლადივოსტოკთან.

ის დღე იყო და ის. ვლადივოსტოკელი ქალიშვილი გულითადად დაუმეგობრდა სევანელ მებადურთ — მათი წარმატება ალხენს გალინა ოვჩინიკოვას და სწუხს, როცა ტბაზე ავდარი ადგება და მებადურნი სახედაღვრემილნი სხედან სევანის ნაპირებზე, მოუთმენლად ელოდებიან გამოდარებას.

ხალისიან, დაუზარელ შრომაში შეუმჩნეველად განვლო წელიწადმა და ვლადივოსტოკიდან წერილი მიიღო გალინა ოვჩინიკოვამ — უკანვე უხმობდნენ. სევანის თევზჭერის სამმართველოში იცოდნენ ამ წერილის შესახებ, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს გალინასათვის, გულით კი მმართველიდან დაწყებული უმცროს შეგირდამდე — ყველანი წინააღმდეგი იყვნენ მისი ვლადივოსტოკში გამგზავრებისა.

თვითონ გალინამ დიდხანს როდი იყოყმანა, სწორედ მეორე დღესვე აფრინა პასუხი:

... ძვირფასო ამხანაგებო, მადლობელი ვარ რომ არ მივიწყებთ. თქვენმა ბოლო წერილმა დიდად გამახარა—ასე გადამეტებით რომ შეგისრულებიათ წლევანდელი წლის გეგმა! ვისწრაფვი გაცნობოთ — ჩვენი ქარხანაც ასევე წარმატებით მუშაობს... რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას — გადაწყვიტე აქ დავრჩე. შემიყვარდა ეს მკვირცხლი და შრომისმოყვარე ხალხი! ისე შევეჩვიე, რომ მათ გარეშე ცხოვრება გამიძნელდება. ამასთანავე საქმისათვის ჩემი აქ ყოფნა ჯერჯერობით აუცილებელია. მე სევანში ვრჩები, ამხანაგებო, ჩვენი საერთო საქმის ინტერესისათვის...

და მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, გალინა ოვჩინიკოვა კი ადრინდელი გატაცებით მუშაობს სევანში, ახლა იგი ქარხნის დირექტორია. სევანის მკვიდრი გახდა ერთდროს ვლადივოსტოკელი გოგონა.

ასე ამეგობრებს ადამიანებს სოციალისტური შემოქმედებითი შრომა.

* * *

ამ მთამაღალში პურის უანები უთესია სევანელ კოლმეურნეებს. მთებში გაბედულად ამოპაიჯა ტრაქტორმა და კომბაინმა. მოწინავე საბჭოთა აგროტექნიკამ ხორბალი გაახარა უმცენარო ადგილებში, და ახლა სევანელი გლეხკაცი შორს როდი ჩადის პურის საყიდლად.

დგახართ ჩვენი ქვეყნის სამხრეთის საზღვართან. თვალნათლივ ხედავთ სევანელი მებადურისა და კოლმეურნის შემოქმედებითს შრომასა და ნათელ ცხოვრებას, შესაჭერით ამ ჯანმრთელ და გონებაგახსნილ ახალგაზრდობას, სიმღერად ჩაგესმით მკვირცხლი ბაგეშვების სიცილ-კისკისი, ხოლო არაქსის გაღმა ნაპირზე, არარატის მთების კალთებზე ისეთივე დუხჭირი ცხოვრებაა მშრომელი გლეხკაცისათვის, როგორიც სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სერგი მხეიანს ჰქონდა.

თურქეთის ოფიციალური სტატისტიკის ცნობით, რაც უთუოდ არასრულია, რვა მილიონი თურქი გლეხი უმიწაწყლოა. თურქული გაზეთი „ისტანბული" იუწყება, რომ თურქეთის სოფლებში ყოველი ათასი ახალდაბადებულიდან პირველ თვეშივე იხოცება ას ორმოცი ბავშვი. ამის მიზეზი უსახლკარობა და შიმშილია! გაზეთ „ჯურუმხეთის" კორესპონდენტი იაშარ ქემალი წერს:

... მე ვნახე სოფელში სახლები, რომლებსაც არა აქვთ ფანჯრები და რომლებიც ჯურღმულებს ან ჭებს ჰგვანან... ამ სახლებში ხალხი საქონელთან ერთად ცხოვრობს... იკვებებიან ბალანდით. ბევრ სოფელს არა აქვს წყალი. მოსახლეობა სიბნელეშია, მათ არ გააჩნიათ ნავთის საყიდელი ფული...

ასე აღწერენ თვითონ თურქი ჟურნალისტები და გაზეთები თურქი გლეხკაცის ცხოვრებას.

* * *

იმ დილით, როცა თბილისში მოვდიოდი, სევანის ტბის ნაგმისადგომთან ხალხის სიმრავლე იყო. მხეიანის ბრიგადას ელოდნენ.

ბრიგადამ მთელი ღამე ტბაზე გაატარა.

ტბის სიმწვანეში და მზის ვერცხლისფერი სხივების შუქზე თვალისმომჭრელად გამოანათა მეწინავე მოტორიანმა ნავმა. მასზე წითელი ალამი ფრიალებდა.

ისარივით მოაპობდა წყლის ზედაპირს ნავი.

დამბვდურებმა ადვილად შეიცნეს ნავში მჯდომი სერგი მხეიანი. მოხუცმა გაიღიმა — ეს კარგის ნიშანია და ნაპირიდან ტაში შეაგებეს.

მალე გამოჩნდა ნავების ქარავანი, მათ ქარხანაში მოჰქონდათ მებადურთა წუხანდელი შრომის ნაყოფი — ტონანახევარი კალმახი და ხრამული.

სერგი მხეიანმა შემამჩნია, მომიახლოვდა და ღიმილით მითხრა — გულითადი სალამი და ჩვენი მუშაობის ამბავი გადაეცი პალიასტომელ მებადურთ. კალმახს არ მოვაკლებთ და კეფალზე გულს ნუ დაგიწყვეტენ

მშვიდობის მომხრეთა დანიის კომიტეტის მიმართვა დანიელი ხალხისადმი

კოპენჰაგენი, 11 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა დანიის კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა დანიელი ხალხისადმი, რომელსაც მოუწოდა გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობისათვის.

მშვიდობის მომხრეთა დანიის კომიტეტი მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიაში რევანშისტული მილიტარიზმის აღდგენა და იმის განზრახვა, რომ დანიის ტერიტორიაზე შეიქმნას უცხოეთის სამხედრო-საჰაერო ბაზები, უდიდეს საფრთხეს უქმნის დანიას.

მშვიდობის მომხრეთა კომიტეტი მოუწოდებს დანიელ ხალხს შეუერთდეს მოთხოვნას დიდ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების მოწყობის შესახებ, ხელი მოაწეროს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი დანიის მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციას.

რას მოითხოვს ამერიკელი ხალხი

ამერიკის კონგრესის წევრის ფუდის აღიარება

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). გაზეთ „პიპლს ფორდლს“ კორესპონდენტი ქალაქ კერ დ'ალენიდან (აიდაჰოს შტატი) იუწყება: „გამოხატავდა რა ხალხის მზარდ მისწრაფებას მშვიდობისადმი, კონგრესის წევრმა რესპუბლიკელმა ჯონ ვუდა განაცხადა, რომ თუ იგი კვლავ აირჩიეს, წამოაყენებს მოთხოვნას, რომ ომი კორეაში დაუყოვნებლივ შეწყდეს და გადასახადები შემცირდეს. ვუდის გამოსვლამ მშვიდობის დასაცავად საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია“.

ვუდმა, აღნიშნავს კორესპონდენტი, დასძინა, რომ „ამერიკელი ხალხის გრძნობები და განწყობილება ამჟამად სულ სხვაა, ვიდრე ეს ორი წლის წინათ იყო“. მან კორეის ომს უწოდა „უდიდესი ტრაგედია ამერიკის მთელ ისტორიაში“ და განაცხადა: ამერიკელ ხალხს სურს, „რომ მისი ნათესავები იყვნენ შინ, ფერმაში და სამუშაოზე“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც ნიუ-იორკის რადიოს ცნობიდან არკვევა, ღღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომაზე ინგლისმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა განსახილველად წარადგინეს დიდ სახელმწიფოთა შეიარაღების საერთო შემცირების გეგმა. ეს გეგმა ძირითადად განმეორებაა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ 28 მაისს წარდგენილი გეგმისა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა მალიკმა განაცხადა, რომ იგი გაეცნო დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებას, მაგრამ ერთი შეხედვით იგი ახალს არაფერს შეიცავს. შემდეგ მალიკმა კვლავ აღნიშნა სსრ კავშირის წინადადება მთელი შეიარაღებული ძალების 1/3-ით შემცირებისა და ატომური იარაღის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ.

პუერტო-რიკოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარტიის ყრილობაზე

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი სანხუანიდან (პუერტო-რიკო) იუწყება, რომ როგორც ატყობინებიან, პუერტო-რიკოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარტიის ეროვნულ ყრილობაზე მოწონებულ იქნა პროგრამა, რომელიც მოუწოდებს შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში პუერტორიკოელთა გაწვევის წინააღმდეგ და საავადმყოფოებში პუერტორიკოელი ქალების მასობრივი სტერილიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პროგრამა მოუწოდებს ხელი შეუწყონ პუერტო-რიკოს ინდუსტრიალიზაციის შინაგანი რესურსების საშუალებით.

მუშათა მდგომარეობის გაუარესება იაპონიაში

ტოკიო, 12 აგვისტო. (საკდესი). პრესის ცნობები მოწმობენ იაპონელ მუშათა მდგომარეობის შემდგომ გაუარესებას. გაზეთ „ნიჰონ კეიძაის“ 10 აგვისტოს ცნობით, 1952 წლის დამდეგიდან გადიდდა ხელფასის გაუცემლობისა თუ დაგვიანების შემთხვევები, განსაკუთრებით საფეიქრო და მანქანათმშენებელ მრეწველობაში, აგრეთვე სამშენებლო, ხის დამამუშავებელ, კვების მრეწველობაში და სხვა დარგებში.

თებერვლის დამლევს აიკის პრეფექტურაში 48 ისეთი შემთხვევა იყო, როდა დაგვიანეს 24 მილიონი იენის ხელფასის გაცემა, ხოლო მაისის დამლევს — 83 შემთხვევა 38.500 ათასი იენის საერთო თანხით, ხოგოს პრეფექტურაში იანვრის დამლევს იყო 43 მილიონი იენი ხელფასის გადაუხდელობის 109 შემთხვევა, ხოლო ივნისის დამლევს — 128 შემთხვევა 125 მილიონი იენის რაოდენობით. ნიიგატას პრეფექტურაში ივნისის დამლევს ხელფასის გაუცემლობის 173 შემთხვევა იყო.

შრომის უსაშიშრობის ტექნიკის სუსტი უზრუნველყოფა წარმოებაში მრავალ უბედურ შემთხვევას იწვევს. გაზეთ „სიუკან როდოს“ ცნობის თანახმად, შრომის სამინისტროს მიერ იმ საწარმოთა გამოკვლევის მონაცემებით, სადაც 100 მუშაზე მეტი მუშაობს (გამოკვლევა 3.300 ათას მუშას შეეხო), მარტში აპრილში აღნიშნულია 25.721 უბედური შემთხვევა წარმოებაში, აქედან 126 შემთხვევა სასიკვდილო შედეგით.

პირობების გაუარესებას მუშები უპასუხებენ ბრძოლის გაძლიერებით. შრომის სამინისტროს ცნობებით, შრომითი კონფლიქტების მონაწილეთა რიცხვი ივნისში შეადგენდა 1.270 ათას კაცს, აქედან გაფიცვებში მონაწილეობას იღებდა 310 ათასი კაცი. იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს გენერალური მდივნის ტაკანოს განცხადებით, საბჭო წელს შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით მოაწყობს მუშათა საშემოდგომო შეტევას, რასაც დაიწყებს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ფედერაცია.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 12 აგვისტოს გამოაქვეყნა ცნობა:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ფრონტების ცალკე უბნებზე ეწეოდნენ თავდაცვითს ბრძოლებს.

აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩვენმა ნაწილებმა ჩაძირეს მტრის ორი ტრალერი და ერთი ტრანსპორტი და დაზიანეს ერთი საესკადრო ნაღმოსანი.

დღეს მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ზურგის რაიონებზე თავდასხმებში.

ამერიკელები ცდილობენ აიძულონ კორეელი სამხედრო ტყვეები შევიდნენ ლისინმანელთა არმიაში

პეკინი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონდან იუწყება, მოუხედავად ამერიკელთა სასტიკი ცენზურისა, კუნძულ კოჯედოდან ჩვენამდე მოაღწია ცნობამ სამხედრო ტყვეთა ახალი „ამბოხების“ შესახებ. ასოშიეიტედ პრესის საგენტოს პუსანელი კორესპონდენტისაგან 7 აგვისტოს მიღებული ცნობის თანახმად, ათასობით „ლტოლვილმა“ ამბოხება დაიწყო კუნძულ კოჯედოზე ბრინჯის ულუფის მკვეთრი შემცირების გამო. მეორე დღეს ინტერნაციონალ ნიუს სერვისის საგენტოს კორესპონდენტმა კუნძულ კოჯედოდან გადასცა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ივლისში ბრინჯის თვიური ნორმა 80 ათასი „ლტოლვილისათვის“ კუნძულზე ორნახევარჯერ შემცირდა. ამერიკელებს აქამდე თითქმის არავითარი დაწვრილებითი ცნობა არ გამოუქვეყნებიათ ამ „ამბოხების“ შესახებ.

მაგრამ, განაგრძობს სინხუას საგენტოს კორესპონდენტი, მსოფლიოს არ დავიწყებია, რომ ამერიკელებმა სამხედრო ტყვეთა დიდი რაოდენობა მიაკუთვნეს ეგრეთწოდებულ „სამხრეთ კორეის მოქალაქეთა“ და „ლტოლვილთა“ კატეგორიებს. მათგან 27 ათასი კაცი უკვე იძულებულ ჩაეცვათ სამხედრო ფორმა, რათა ისინი გადაექციათ ლი სინ მანის ბანდის საზარბაზნე ხორცად. მსოფლიოს აგრეთვე ახსოვს, რომ ივნისის დასაწყისში ამერიკელებმა შეამცირეს და სრულიადაც შეწყვიტეს სასურსათო ულუფების მიცემა სამხედრო ტყვეებისათვის კუნძულ კოჯედოზე, რათა დაემორჩილებინათ ისინი. სრულიად ნათელია, რომ ცნობები ამ „ლტოლვილთა ამბოხების“ შესახებ ფარავს ბოროტ ფაქტს, რომელიც მოწმობს, რომ ამერიკელი აგრესორები შიმშილის პოლიტიკას იყენებენ, რათა იძულონ ეგრეთწოდებული „ლტოლვილები“ შევდნენ ლისინმანელთა არმიაში.

ამერიკელთა ჯარების განლაგება დანიაში

კოპენჰაგენი, 12 აგვისტო. (საკდესი). დანიის დეპეშათა საგენტოს რიტსაუს ბიუროს ცნობით, 11 აგვისტოს ქალაქ რედინგში გაიმართა ვენსტრეს პარტიის სამხრეთ იუტლანდიის ორგანიზაციის კრება, რომელზეც სტაუგი წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ერიკ ერიქსენმა. ცნობიდან ჩანს, რომ ერიქსენმა აღიარა დანიის ტერიტორიაზე ამერიკის ბაზების შექმნისა და ამერიკელთა ჯარების განლაგების ფაქტი. მაგრამ ერიქსენი ამტკიცებდა, რომ დანიაში ამერიკელთა ჯარების ყოფნა თითქოს „მიზნად ისახავს დაგვიცვას როგორც თავისუფალი ხალხი“.

კომენტარს უკეთებს რა პრემიერ-მინისტრის ამ გამოსვლას, ღღეს გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ წერს: „ეს უაღრესად სუსტი არგუმენტაცია. სწორედ ბაზების საკითხი ცხადყოფს, რომ დანიის საგარეო პოლიტიკა იცვლება ამერიკელთა დირექტივების თანახმად. ატლანტიკის პარტიებმა პირობა დაღეს, რომ საქმე არ შეეხება დანიის ბაზებს. და თუ მართლა სწორია, რომ ბაზების პრობლემა განახლი საგარეო პოლიტიკურმა კომისიამ ორი თვის წინათ, ეს იმ ცდების საკეთესო დამამტკიცებელი საბუთია, რომ დაუმალონ სიმართლე საზოგადოებრიობას. როგორც ცნობილია, საზოგადოებრიობამ კონკრეტული ცნობები ამ გეგმათა შესახებ გაიგო მხოლოდ ამერიკის აგენტების ცნობებიდან, მაშინ როცა დანიის მემარჯვენე პრესა, საგარეო საქმეთა მინისტრის მითითებით, ცდილობდა შეექმნა მკითხველთათვის შთაბეჭდილება, თითქოს კრაფტი ლონდონში იყო მხოლოდ იმისათვის, რომ მოლაპარაკება ეწარმოებინა „ყველის ექსპორტის შესახებ“.

კოლანდიის გაზეთი დასავლეთ გერმანიაში ინგლისელთა ჯარების მანევრების შესახებ

ჰაგა, 12 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიაში წარმოებს ინგლისელთა საოკუპაციო ჯარების მანევრები. გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ წერს, რომ მანევრების პირველსავე დღეს რაინის ოლქში დაიღუპა 9 კაცი. ამ მანევრებს ხელმძღვანელობს გენერალი, რომელიც აქამდე ინგლისელთა ბრიგადას მეთაურობდა კორეაში. რაინის ფორსირებისათვის ორჯერ განმეორებულ ოპერაციას თან ახლდა პირველი მსხვერპლი: დაიხრჩო ორი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. სამი ჯარისკაცი მოკლულ იქნა, როცა ერთ-ერთი გლეზის ხუტორში უყმბარა გასკდა. სხვა სამი კაცი დაიღუპა ავტომობილის კატასტროფის დროს.

„მანევრების მსხვერპლი, — დასკვნის გაზეთი, — კვლავ მოწმობს იმ საშიშროებას, რომელიც მოელის ჰოლანდიელ ჯარისკაცებს, თუ მათ მოუხდებათ მიმდინარე წლის შემოდგომაზე მონაწილეობა მიიღონ დასავლეთ გერმანიის დიდ მანევრებში, რაც იმართება ინგლისელთა და ბელგიელთა ჯარებთან ერთად. მანევრებს უხელმძღვანელებენ გენერლები, რომლებსაც სურთ რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენონ „კორეის ისისტლისმღვრელ ომში მიღებული გამოცდილება...“.

ამერიკელთა ჯარების განლაგება დანიაში

კოპენჰაგენი, 12 აგვისტო. (საკდესი). დანიის დეპეშათა საგენტოს რიტსაუს ბიუროს ცნობით, 11 აგვისტოს ქალაქ რედინგში გაიმართა ვენსტრეს პარტიის სამხრეთ იუტლანდიის ორგანიზაციის კრება, რომელზეც სტაუგი წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ერიკ ერიქსენმა. ცნობიდან ჩანს, რომ ერიქსენმა აღიარა დანიის ტერიტორიაზე ამერიკის ბაზების შექმნისა და ამერიკელთა ჯარების განლაგების ფაქტი. მაგრამ ერიქსენი ამტკიცებდა, რომ დანიაში ამერიკელთა ჯარების ყოფნა თითქოს „მიზნად ისახავს დაგვიცვას როგორც თავისუფალი ხალხი“.

კომენტარს უკეთებს რა პრემიერ-მინისტრის ამ გამოსვლას, ღღეს გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ წერს: „ეს უაღრესად სუსტი არგუმენტაცია. სწორედ ბაზების საკითხი ცხადყოფს, რომ ამერიკელთა ჯარების ყოფნა ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს. ეს ფაქტი ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება ეროვნული ინტერესებიც, ეროვნული ინტერესებიც, ეროვნული ინტერესებიც,